საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 19 ნოემბერი, 2013 წელი.

№222 (7350)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

„ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ“

გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს კონსტიტუციაზე ფიცი დადო

17 ნოემბერს საქართველოს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დღის 13 საათზე საქართველოს კონსტიტუციაზე ფიცი დადო:

„მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ძვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ძვეყნის მოძალაძეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის, ჩემი ხალხისა და მამულის ძლევამოსილებისათვის“.

ფიცის დადება ნიშნავს, რომ დასრულდა მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ოფიციალურად შეუდგა უკვე მუშაობას გიორგი მარგველაშვილი, ასევე ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

„ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანა ეკუთვნის არა მხოლოდ წარსულს, არამედ მომავალსაც“ 2

ჩვენ, „სითი პარკის“ იმპერიის მონები...

6

ევა გოცირიძე:

იუსტიციის საბჭოს ზოგმა წევრმა მოსამართლეთა კორპუსის ლეგიტიმური მოლოდინი ვერ გაამართლა 3

სავალუტო ფონდი – ნაციონალების გავლენის ქვეშ? 9

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

№222. სამშაბათი, 19 ნოემბერი, 2013 წელი.

„ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანა ეკუთვნის არა მხოლოდ წარსულს, არამედ მომავალსაც“

საქართველოს პრეზიდენტის საინაუგურაციო სიტყვა 2013 წლის 17 ნოემბერს

მოგესალმებით, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო პარლამენტის თავმჯდომარე, მივესალმები უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მივესალმები მეგობარი ქვეყნების დელეგაციებს, მივესალმები ძვირფას სტუმრებს, მივესალმები საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, აფხაზებს, ოსებს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ყველა ჩვენს თანამემამულეს.

დღეს თქვენ წინაშე ვდგავარ აღჭურვილი უდიდესი პასუხისმგებლობით, დარწმუნებული საკუთარ ძალებში, თანამებრძოლებსა და, რაც მთავარია, ჩვენს ხალხში.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდი ჩემს თანამოაზრეებს, მათ, ვის თანადგომასაც განუწყვეტლივ ვგრძნობდი წინასაარჩევნო პერიოდში. მადლობას ვუხდი ბიძინა ივანიშვილს და კოალიციის თითოეულ წევრს. მადლობას ვუხდი მთელ საზოგადოებას, ყველას, ვინც პოლიტიკური პოზიციების მიუხედავად, გულწრფელად ცდილობს ემსახუროს სამშობლოს.

დღეს ხალხის ნებამ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება გამოიხატება დემოკრატიული პროცესის კონსოლიდაციაში.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით ხელისუფლების ცვლილების პრეცედენტის შექმნით ჩვენ შევძელით სახელმწიფოებრივი განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე გადასვლა. დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა, რითიც ახალი, ევროპული ტიპის პოლიტიკურ კულტურას დავუდეთ სათავე.

ქართველი თავისი ინდივიდუალური შეგნებით ევროპელია, თავისი ბუნებით დასავლური ცივილიზაციის ორგანული ნაწილია. მაგრამ ჩვენ აქამდე ვერ ვახერხებდით, რომ ჩვენი ევროპელობა სახელმწიფოებრივ, ინსტიტუციურ განზომილებაში გადაგვეტანა.

შარშანდელი პირველი ოქტომბრის შემდეგ ჩვენ შევძელით ჭეშმარიტად ევროპული პოლიტიკური პროცესებისთვის დაგვედო სათავე. ერთი წლის წინათ ბიძინა ივანიშვილმა გაგვაერთიანა. ერთიანობით ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც შეუძლებელი ჩანდა — მშვიდობიანად, არჩევნებით საფუძველი ჩავუყარეთ ჩვენი ქვეყნის წარმატებულ პოლიტიკურ მომავალს.

ამის შემდეგ ჩვენ არა მხოლოდ შევინარჩუნეთ და განვამტკიცეთ სტაბილურობა ქვეყანაში, განვახორციელეთ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, სოციალური პროექტები, არამედ მოვახერხეთ მაღალი დემოკრატიული სტანდარტების არჩევნების ჩატარება. ამ არჩევნებში ჩვენმა კოალიციამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ბუნებრივია, ნებისმიერ საპრეზიდენტო არჩევნებში არის მხოლოდ ერთი გამარჯვებული, მაგრამ ყველას გასაგონად მინდა, ვთქვა: **როგორც პრეზიდენტი, მე ვემსახურები თითოეულ თქვენგანს. საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ერთნაირად ვიქნები უფლებათა დაცვის გარანტი.**

რა პოზიციებიც არ უნდა ჰქონოდათ მოქალაქეებს არჩევნების დროს, ჩვენ ყველას გვაერთიანებს საერთო მიზანი — **მშვიდობიანი, გაერთიანებული, დემოკრატიული, განვითარებული და ლაღი საქართველო.**

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი ხელისუფლება: განუხრელად იზრუნებს დემოკრატიული მმართველობის ტრადიციის დამკვიდრებისთვის, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, ქვეყნის მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ეკონომიკურ წინსვლაზე. ხელისუფლების უმთავრეს მიზნად ჩვენ ვისახავთ თითოეული ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნას.

საქართველოს დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკის ქვაკუთხედია. ეს გაგვიმარტივებს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას და განაპირობებს ქვეყნის სანდო საერთაშორისო პარტნიორად ჩამოყალიბებას.

აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ თანამოქალაქეებს ჩვენ ვთავაზობთ: ერთად ვაშენოთ წარმატებული დემოკრატიული სახელმწიფო. ქვეყანა, რომელიც მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობის, ეთნიკური, კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობის გარანტი იქნება.

ჩვენი პრიორიტეტია დევნილებისა და ლტოლვილების უპირობო, უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება მათ საკუთარ სახლებში. მანამდე კი – მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა და უფლებათა დაცვა.

მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, სახელისუფლებო გუნდთან ერთად ვიღებ ამ პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობას.

როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, ვაცხადებ, რომ ვიზრუნებ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. ჩვენ მუდამ მზად ვიქნებით გარეშე საფრთხეების მოსაგერიებლად. ამავდროულად, ნებისმიერი საერთაშორისო თუ შიდა პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტა ქვეყნის უცვლელი კურსია.

როგორც სახელმწიფოს მეთაური, აქტიურად ვიმუშავებ საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური პროექტების განსახორციელებლად; ხელს შევუწყობ საერთაშორისო არენაზე საქართველოს სანდო პარტნიორად დამკვიდრებას.

ასევე ვიქნები დემოკრატიის პროცესის გაღრმავების ხელშემწყობი და საზოგადოების ყველა ფენის კონსტიტუციური უფლებების დაცვის გარანტი.

ჩემი საგანგებო ზრუნვის საგანი იქნება იმ მოქალაქეთა ინტერესები, ვისაც განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სჭირდება.

როგორც პრეზიდენტი, ვიქნები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმების დაცვის გარანტი. ამავდროულად, განუხრელად დავიცავ საქართველოში მცხოვრები ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელთა კონსტიტუციურ უფლებებს.

სუვერენიტეტის გამყარებისა და ქვეყნის მშენებლობის პროცესში ჩვენ მარტო არა ვართ. დამოუკიდებლობის წლების განმავლობაში ყოველთვის ვგრძნობდით მეგობარი ქვეყნების თანადგომას. ოკუპირებულ ტერიტორიათა არაღიარებისა და დეოკუპაციის პოლიტიკა, საქართველოს უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები, ეკონომიკური განვითარების რეგიონულ პროექტებში მონაწილეობა სწორედ ამ ურთიერთობებს ეფუძნება.

საქართველოს მოქალაქეთა სახელით დიდ მადლობას ვუხდი მეგობარი ქვეყნების ხალხებს და მთავრობებს ამ თანადგომისთვის.

ჩვენი საერთაშორისო კავშირები განმტკიცდება და უფრო ქმედით სახეს მიიღებს.

ევროკავშირთან დაახლოებას და ევროპის ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში. ჩვენმა ხელისუფლებამ ამ მიმართულებით სერიოზულ პროგრესს მიაღწია. უახლოეს პერიოდში ვილნიუსის სამიტზე მოხდება ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

ჩვენი პრიორიტეტია, მაქსიმალურად მოკლე ვადებში შევძლოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, ხელმოწერა, რაც საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის შეუქცევადობის ინსტიტუციური დადასტურება იქნება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილური განვითარების გრძელვადიან გარანტიას თავისუფალი სამყაროს სრულფასოვანი წევრობა წარმოადგენს. ეს კი საბოლოოდ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციით მიიღწევა.

საქართველო კვლავაც აგრძელებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შეიარაღებული ძალებით, რომელთაც საკუთარი პროფესიონალიზმით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ გლობალური უსაფრთხოების დაცვაში, მათ შორის, ავღანეთში ISAF-ის მისიაში მონაწილეობით.

მე, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, ქედს ვიხრი ჩვენი დაღუპული გმირების ხსოვნის წინაშე. მათი სახელი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

ჩვენი პრიორიტეტია შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობების სრულფასოვანი და ყოველმხრივი განვითარება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში, და ასევე თანამშრომლობის მრავალმხრივ ფორმატებში.

ჩვენ მნიშვნელოვან ძალისხმევას მივმართავთ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების ინიცირებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი სტრატეგიული კავშირების განმტკიცებას.

საქართველოს აქვს ისტორიული მისია, იქცეს ევროპასა და აზიას შორის თანამშრომლობის, დიალოგისა და თანხმობის ადგილად.

ამიტომ, ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ შავი და კასპიის ზღვების რეგიონების, ასევე ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავებას, მათთან ტრანსნაციონალური პროექტების ხელშეწყობასა და რეგიონში მშვიდობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას.

დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკით საქართველომ უნდა შეიძინოს კავკასიური ინტერესების გამაერთიანებლის ფუნქცია. მნიშვნელოვანია ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება მეზობელ სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან.

მიუხედავად დღეისათვის არსებული გართულებული ვითარებისა, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას, გავაღრმაოთ რუსეთთან დიალოგი, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად, საქართველოს ეროვნული ინტერესების – საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით, და ურთიერთნდობის საფუძველზე გადავჭრათ დღეს არსებული პრობლემები.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, როგორიცაა გაერო, ეუთო და ევროპის საბჭო.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება ასევე ურთიერთობების გაღრმავება ახლო აღმოსავლეთის, არაბული სამყაროს, აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიის და ოკეანეთის რეგიონებთან და ამ კონტექსტში გლობალური პარტნიორობის განვითარება.

მეგობრებო, ურთულესი წლების შემდეგ, რაც ყველამ ერთად გამოვიარეთ, დადგა დრო, როცა უნდა დავიბრუნოთ ჩვენი იდენტობა, როდესაც, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“. დღეს ეს სიტყვები გაისმის მოწოდებად თითოეული ჩვენგანისადმი.

ჩვენ გვაქვს უმთავრესი კაპიტალი, რომელსაც ახალი საქართველოს შენება დაეფუძნება — ჩვენი ხალხის ნიჭიერება და სამშობლოს სიყვარული.

მე მჯერა, რომ ყველაზე უარესი წლები უკან მოვიტოვეთ; რომ ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანა ეკუთვნის არა მხოლოდ წარსულს, არამედ მომავალსაც. ეს ხედვა რეალობად ერთ დღეში ვერ იქცევა, მაგრამ:

მე ვხედავ საქართველოს, რომელიც მისი შვილებისათვის არა გადარჩენისთვის ბრძოლის, არამედ ღირსეული ყოფის, სიცოცხლით ტკბობის, ნიჭიერების გაფურჩქნისა და თვითრეალიზაციის სივრცეა.

მე ვხედავ ქვეყანას, რომელსაც მსოფლიო იცნობს არა პოლიტიკური კრიზისებით თუ ჰუმანიტარული პრობლემებით, არამედ მისი განსაცვიფრებელი სილამაზით, ცხოვრების სილაღით და, რაც მთავარია, მშრომელი, შემოქმედი, კეთილშობილი, სტუმართმოყვარე ხალხით.

მე ვხედავ ენერგიას, რომელმაც რუსთაველს „ვეფხისტყაოსანი“ შეაქმნევინა, და რომელმაც ექვთიმე თაყაიშვილს თავგანწირვის ფასად წინაპართა საუნჯის დაცვის ძალა მისცა; ენერგიას, რომელმაც ფიროსმანს შავი ლომი დაახატვინა და ექიმ იოსებ ჟორდანიას პატარა გოგონას გადასარჩენად სიცოცხლე დაათმობინა; ენერგიას, რომელმაც საოცარი ხელოვნებით გამოჭედა ხახულის კარედი და მტრის წინაშე ქედი არ მოახრევინა გიორგი ანწუხელიძეს.

მე ვხედავ იმ აღტაცების გამეორებას, რომელიც მოჰგვარა მსოფლიოს მცხეთის ჯვრის სიდიადემ, ქართული ანბანის უნიკალურობამ, ვაჟას პოეზიის სიღრმემ, ჩაკრულოსა და კრიმანჭულის საოცარმა ჰარმონიამ, ქართული მეცნიერული აზრის მასშტაბურობამ და აღფრთოვანების ღირსმა სპორტულმა სასწაულებმა.

ასეთ საქართველოზე ვოცნებობდი მთელი ჩემი ცხოვრება. ასეთ საქართველოს ქმნიდნენ ამ ქვეყნის შვილები.

უდიდესი პატივი და ტვირთია იყო საქართველოს პრეზიდენტი. **და დღეს მე ღმერთს ვთხოვ, მომცეს ძალა, ღირსეულად ვზიდო პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩვენი დიდებული ქვეყნისა და ხალხის მსახურება მაკისრებს.**

ევა გოცირიძე: იუსტიციის საბჭოს ზოგმა წევრმა მოსამართლეთა კორპუსის ლეგიტიმური მოლოდინი ვერ გაამართლა

რა პროცესები მიმდინარეობს იუსტიციის საბჭოში, გაამართლეს თუ არა საბჭოს წევრებმა მოსამართლეთა და ზოგადად საზოგადოების მოლოდინი. რატომ არ იგრძნობა უფრო მძაფრად სასამართლოს ობიექტურობის ექო? – ამ და სხვა საინტერესო საკითხზე გვესაუბრება იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთი არამოსამართლე წევრი, მეცნიერებათა დოქტორი ევა გოცირიძე

— ძალბატონო ევა, რა განვითარება ჰპოვა ახლადარჩეული იუსტიციის საბჭოს მუშაობამ? რა იყო მინისტრ წულუკიანის ჩანაფიქრი და რა მივიღეთ?

— მინისტრ წულუკიანის ჩანაფიქრი, ისევე როგორც მთელი ახალი ხელისუფლებისა, იყო და არის დამოუკიდებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების დამკვიდრება საქართველოში. მაგრამ ასეთი დამოუკიდებლობა ვერ დამკვიდრდება მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური განშტოებების მხრიდან სასამართლოს გათავისუფლებით. თავად სასამართლომაც უნდა მოინდომოს, ისწავლოს და შეძლოს თავისუფლება. იგი უნდა გათავისუფლდეს ძველი გავლენებისგან და, ბოლოს და ბოლოს, დადგეს იმ სიმაღლეზე, რასაც მოითხოვს ნამდვილი დემოკრატია. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ **დამოუკიდებელი სასამართლო დღეს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებაა**. თუ სასამართლო ხელისუფლება ვერ შეძლებს, ადეკვატურად უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, კრახი გარდაუვალია. ეს არ უნდა დავუშვათ. ამ საქმეში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი გადამწყვეტია. ძირითადი ტვირთი ჩვენზეა და არა ხელისუფლების პოლიტიკურ განშტოებებზე. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა სწორედ საბჭოს როლი და დანიშნულებაა. პოლიტიკური ნება უკვე არსებობს. ახლა ჯერი ჩვენზეა. სასამართლო რეფორმა გონივრულად და თანდათანობით უნდა განხორციელდეს და არა „დამკვრელურად“, რათა დაუფიქრებელმა და უხეშმა ნაბიჯებმა ახალი პრობლემები არ წარმოქმნას. **საბჭოს ვალია, დაეხმაროს სასამართლოს, გამოიყენოს დამოუკიდებლობის შანსი და, ამასთანავე, გასაქანი არ მისცეს მოსალოდნელ თვითნებობას**. საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ დამოუკიდებლობა თავგასულობაში კი არ გადაიზარდოს, არამედ იგი შესაბამისი პასუხისმგებლობით გაწონასწორდეს. პასუხისმგებლობით დატვირთული დამოუკიდებლობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე უსიტყვო მორჩილება და სხვისი პასუხისმგებლობით მოქმედება. როდესაც ეს სირთულე იქნება დაძლეული, სასამართლო რეფორმასაც მაშინ ჩავთვლი წარმატებულად. ჯერჯერობით კი, სამწუხაროდ, ამ მიმართებით ძალზე შორსა ვართ სასურველისაგან.

— იუსტიციის საბჭოს 9 წევრი, როგორც ვიცით, იდეოლოგიურად კვლავ ძველი ხელისუფლების მხარდამჭერია, როგორ ფორმატში გიწევთ თანამშრომლობა დანარჩენ ოთხ წევრს; შესაძლებელია თუ არა მათთან კონსენსუსის მიღწევა? მიგაჩნიათ თუ არა, რომ შეცდომები იქნა დაშვებული იუსტიციის საბჭოს არჩევის დროს და ახლა როგორ შეიძლება ამის გამოსწორება? არის თუ არა რესურსი და რაიმე სახის ბერკეტი იმისთვის, რომ სასამართლო რეალურად გახდეს ობიექტური?

— არის თუ არა საბჭოს 9 წევრი ძველი ხელისუფლების მხარდამჭერი სხვა, ცალკე საკითხია. მე ყურადღება მივაქციე თქვენი შეკითხვის ფორმულირებას. თქვენი კითხვიდან პირდაპირ გამოსჭვივის, რომ საზოგადოებაში ისინი ძველი ხელისუფლების მხარდამჭერებად განიხილებიან. მაშასადამე, მათ მიმართ არ არსებობს საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობა. ეს უკვე პრობლემაა. მართლაც, რა ნდობა ექნება საბჭოს საქმიანობას, როდესაც არ არსებობს მისი წევრებისადმი ნდობა? მე თავს შევიკავებდი ჩემი კოლეგების ძველი ხელისუფლების მხარდამჭერებად გამოცხადებისაგან, მაგრამ ნამდვილად ვერ დავფარავ, რომ არაერთ პრინციპულ საკითხზე, საბჭოს მოსამართლე წევრებისა და ჩვენი — პარლამენტის მიერ არჩეული არამოსამართლე წევრების პოზიციები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან და კონსენსუსის მიღწევა მართლაც ჭირს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ. სულ ახლახან, 12 ნოემბერს, ჩვენ, არამოსამართლე წევრებმა, საბჭოს მივმართეთ წინადადებით, შეგვექმნა დროებითი კომისია უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ლალი ლაზარაშვილის საქმესთან დაკავშირებით. საბჭოს სხდომაზე ლაზარაშვილმა ყველას წინაშე ღიად განაცხადა, რომ იგი ჩააყენეს გამოუვალ მდგომარეობაში და აიძულეს სამსახურიდან წასვლა; რომ ეს გამოწვეული იყო მის მიერ უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებების გამოტანით, რასაც მოჰყვა მის მიმართ სერიოზული მორალური წნეხის განხორციელება და დევნა. იმის მიუხედავად, რომ მოსამართლის განმარტებებიდან და წარმოდგენილი მასალებიდან აშკარად იკვეთებოდა უზენაესი სასამართლოს მესვეურთა მხრიდან მოსამართლის დამოუკიდებლობის უხეში დარღვევა, მისთვის სრულიად მიუღებელი ფორმით ანგარიშის მოთხოვნა მიღებული გადაწყვეტილების გამო, მართლმსაჯულების ინტერესის საზიანო ქმედება და სხვა, რაც კონსტიტუციისა და სხვა კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდა, საბჭოს მოსამართლე წევრებმა მაინც არ მიიჩნიეს საჭიროდ ფაქტების დასადგენად კომისიის შექმნა და სინამდვილის დადგენა, რითაც ხელი შეუშალეს პრობლემების გამოვლენასა და საბჭოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას. სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ეს იყო მოსამართლე წევრების მხრიდან სრულიად უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამოვლენა, სერიოზული დარღვევების მიჩქმალვის მცდელობა. ვფიქრობ, მათ ვერ გაამართლეს მოსამართლეთა კორპუსის ლეგიტიმური მოლოდინი და ვერ შეუქმნეს იმის რწმენა, რომ მომავალში მათი დამოუკიდებლობის დარღვევა არ დარჩება საბჭოს ადეკვატური რეაგირების გარეშე.

მოსამართლეთა მიერ გამოტანილი ვერდიქტები (განსაკუთრებით საინტერესოა თენგიზ გუნავას, ბაჩო ახალაიას, ვანო მერაბიშვილის საქმეების თქვენეული შეფასება).

— გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა რომ გაიზარდა, ეს ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური ფაქტია. ის, რომ სასამართლოები ბედავენ ისეთი გადაწყვეტილებების გამოტანას, რომელიც, სავარაუდოდ, არ მოეწონება მმართველ პოლიტიკურ გუნდს, მისასალმებელია, და თავისთავად წარმოადგენს პროკურატურისაგან და მმართველი პოლიტიკური გუნდისაგან სასამართლოს თავისუფლების დადასტურებას. თუმცა, სხვა საქმეა იმის შეფასება, ყოველთვის არის თუ არა ესა თუ ის გამამართლებელი განაჩენი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ზეიმი. საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, რომ სასამართლოზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ძველი გავლენები და, შესაბამისად, **ესა თუ ის გამამართლებელი განაჩენი, შესაძლოა, სწორედ მიკერძოების შედეგი იყოს და არა მიუკერძოებლობისა. ასეთი შემთხვევები ორმაგად არის საშიში, ვინაიდან უკანონობა და უსამართლობა დამოუკიდებლობის ყალბი ლოზუნგით არის შენიღბული.** თქვენს მიერ დასახელებული სისხლის სამართლის საქმის მასალებს არ ვიცნობ, და ვერ გეტყვით, იყო თუ არა მტკიცებულებების ისეთი ნაკლებობა, რომელმაც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა არ მისცა. ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არც იქნებოდა სწორი, მათ კანონიერებაზე საჯაროდ მემსჯელა, მით უფრო, რომ ამ საქმეებს ჯერ არ გაუვლიათ ზედა ინსტანციები. ვნახოთ, რა შედეგით დამთავრდება ისინი. დაე, საზოგადოებამ განსაჯოს, იყო თუ არა შესაბამისი გადაწყვეტილებები სამართლიანობის იდეით შთაგონებული.

— რა გავლენას ახდენს იუსტიციის საბჭო მოქმედ მოსამართლეებზე და როგორ აისახება ეს მათ მუშაობაზე?

— ზუსტად ვერ მივხვდი, რას გულისხმობთ. უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებაში იუსტიციის საბჭო, ცხადია, ვერ ჩაერევა და არც უნდა ჩაერიოს. მაგრამ მოსამართლის საქმიანობაზე მას დიდი პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია. კერძოდ, საბჭო ზრუნავს მოსამართლის სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის, მათი თანაშემწეებით უზრუნველყოფის, მათი გასამრჯელოს გაზრდისა და სხვა მექანიზმებით. საბჭოს ზრუნვის საგანია მათი მუდმივი პროფესიული სრულყოფა და ამას ახორციელებს მათი ტრეინინგებით, კონფერენციასა და სემინარებში მონაწილეობით. საბჭო ვალდებულია, უზრუნველყოს ისეთი სისტემა, რომ სამუშაო ტვირთმა არ გამოიწვიოს მართლმსაჯულების ხარისხის დაცემა და ამ მხრივ ჯერ ბევრი გვაქვს მოსაგვარებელი. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები ისეთი გადატვირთულები არიან, რომ თავად გამოთქვამენ შეშფოთებას თავიანთი გადაწყვეტილებების ხარისხის გამო. მოსამართლეს მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისი პროფესიული ზრდისა და განვითარების, დასვენებისა და ოჯახისათვის საკმარისი დროის დათმობის შესაძლებლობა. საბჭოს ზრუნვის საგანია მათი სოციალური დაცვის, მათ შორის ღირსეული პენსიებით უზრუნველყოფა, რათა დაიცვას ისინი ყოველგვარი ცდუნებისაგან. **საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება კი ისაა, რომ მათი დამოუკიდებლობა დაიცვას და, იმავდროულად, მათი ანგარიშვალდებულება, საჭიროების შემთხვევაში კი მათი დასჯა უზრუნველყოს მართლმსაჯულების ინტერესების უგულებელყოფისათვის დისციპლინური პროცედურების სამართლიანად განხორციელებით.** სწორედ ამიტომ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოს მუშაობის ღიაობასა და გამჭვირვალებას. სიამოვნებით მინდა, აღვნიშნო, რომ დამკვირვებლები სამოქალაქო სექტორიდან, რომლებიც სისტემატურად ესწრებიან ჩვენს სხდომებს და ისმენენ იქ გამართულ ცხარე დისკუსიებს, აცხადებენ, რომ ამ მხრივ საბჭოში მკვეთრად გაუმჯობესდა ვითარება.

— რატომ არ თმობს პოზიციებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, რის მიღწევას ცდილობს და რატომ?

— ბ-ნი კუბლაშვილი ცდილობს, შეინარჩუნოს სადავეები და მოსამართლეთა კორპუსს ჩააგონოს, რომ სწორედ ისაა მათი პატრონი და მზრუნველი მამა. სწორედ ამიტომ დაჰპირდა კონფერენციამდე მოსამართლეებს, რომ ყველა მოქმედ მოსამართლეს გადაანიშვნინებდა უფლებამოსილების სამუდამო ვადით საპენსიო ასაკის მიღწევამდე. ეს იყო ფუჭი დაპირება. მოსამართლეთა კორპუსში ერთიანობის შენარჩუნება ცუდი კი არ არის, მაგრამ იგი საერთო, მაღალ სამართლებრივ ღირებულებებსა და პასუხისმგებლობას უნდა ეფუძნებოდეს და არა ოდენ სამსახურის გაგრძელების ინტერესებს. მსაგავსი დაპირებების მიცემაც პოზიციების დროებითი მოძლიერების სურვილით კი არ უნდა იყოს მოტივირებული, არამედ სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღების აუცილებლობის შეგნებით.

— როგორ წარმოგიდგენიათ უზენაესი სასამართლოს მომავალი ახალი ხელისუფლების პირობებში? როგორ გაგრძელდება მუშაობა?

— უზენაეს სასამართლოში ამჟამად ბევრი ვაკანსიაა და უმნიშვნელოვანესია, რომ პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტმა აირჩიოს გამორჩეულად კომპეტენტური, პატიოსანი, პრინციპული, ავტორიტეტული პიროვნებები. თუკი უზენაესი სასამართლო ასეთი კადრებით დაკომპლექტდება, ეს იმის საწინდარი იქნება, რომ უმაღლესი სასამართლო ინსტანცია გამოასწორებს ქვემდგომი სასამართლოების ყოველგვარ შეცდომას, მართლმსაჯულების განზრახ თუ განუზრახველ დამახინჯებას; ეს კი საფუძველს შეუქმნის სასამართლოს ავტორიტეტსა და მისდამი ნდობას, რაც ასე მნიშვნელოვანია დღეს. რაც შეეხება ბ-ნ კუბლაშვილს, მასზე, როგორც სასამართლო ხელისუფლების მესვეურზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული. მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება დღეს. მას შეეძლო და დღესაც შეუძლია გამოიყენოს დამოუკიდებლობის ის უნიკალური შანსი, რაც დღეს არსებობს და ჩვენთან და მთელ საზოგადოებასთან ერთად სასამართლოს მძლავრ, ავტორიტეტულ ინსტიტუციად ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. გულწრფელად მსურს, რომ მან ეს შეძლოს. თუმცა, ლაზარაშვილის საქმეზე საბჭოს ზემოაღნიშნულმა გადაწყვეტილებამ თითქმის გამიქარწყლა ამის იმედი. ასეა თუ ისე, დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას არა აქვს ალტერნატივა; უკან დასახევი არც გზა გვაქვს და არც დრო. ჩვენ, იუსტიციის საბჭოს არამოსამართლე წევრები საზოგადოებას ვპირდებით, რომ შეუვალნი ვიქნებით ამ საქმეში.

ესაუბრა
თეა მოსია

◎ პოზიცია

რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობას ასუსტებს

საძართველოს მოძალაძეობის გამარტივებული წესით მინიჭებასთან დაკავშირებით განცხადებების მიღება 12 ნოემბერს შეწყდა. საძართველოს მოძმედმა პრეზიდენტმა გამარტივებული წესით საძართველოს მოძალაძეობა უცხო ძვეყნის 400-ზე მეტ მოძალაძეს მიანიჭა. დანარჩენი დოკუმენტაცია კი შესაბამის უწყებებს გადაეგზავნათ. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ანდრო ბარნოვმა განაცხადა, რომ მათ შორის იყვნენ ის პირები, რომლებსაც იუსტიციის სამინისტრომ მოძალაძეობის მინიჭებაზე „სრულიად გაუგებარი უარი“ უთხრა.

„აქ არიან ჩვენი თანამემამულეები, რომლებიც არ ყოფილან აქამდე არასდროს საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ სურთ, გახდნენ მოქალაქეები. აქ არიან ჩვენი ყოფილი მოქალაქეები, რომლებმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს და ამის გამო დაკარგეს საქართველოს მოქალაქეობა და ახლა უნდათ აღდგენა. ამ ადამიანთა რიცხვში არიან უცხოელი ბიზნესმენები, რომლებიც დიდი ხანია, საქმიანობენ საქართველოში და აქვთ სურვილი, მიიღონ მოქალაქეობა და კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელონ საქმიანობა. აქ არიან სხვა ბიზნესმენები, რომლებსაც ახლა უნდათ, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში და დაიწყონ ბიზნესი, რაც ხელს უწყობს საქართველოს განვითარებას, ეკონომიკის ზრდას და წინსვლას“, — განაცხადა ანდრო ბარნოვმა.

ამასთან, რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ განურჩევლად ყველა მსურველი უცხოელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას არ აპირებს და გადაწყვეტილების მიღებისას „მკაცრი კრიტერიუმებით“ იხელმძღვანელებს. 2013 წლის 5 ნოემბრიდან საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას საქართველოს მოქალაქეობის ათასობით მსურველმა მიმართა. როგორც ადმინიტრაციაში განმარტავენ, მსურველთა დიდი რაოდენობისა და დროის სიმცირის გამო, ფიზიკურად შეუძლებელი ხდება ყველა მათგანის დაკმაყოფილება.

„ახლახან ვნახე პრეზიდენტის სასახლესთან საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა დიდი რიგი. ყველა ამ პროცესით დაშინებულს მინდა ვუთხრა, რომ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, განურჩევლად ყველა უცხოელს საფუძვლის გარეშე მივანიჭო მოქალაქეობა. მე მაქვს მკაცრი კრიტერიუმები და ადამიანს მკვეთრად გამოხატული საფუძველი და საქართველოსთან კავშირი უნდა გააჩნდეს ქართული პასპორტის ასაღებად“, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

ამასთან, მისივე განმარტებით, საქართველო გახდა მიმზიდველი ქვეყანა და ვისაც ეს არ სჯერა, შეუძლია, მივიდეს ჯერ კიდევ პრეზიდენტის სასახლესთან და ნახოს ის ხალხი, ვისაც ამის ნამდვილად სჯერა.

კახიშვილი პროკურატურას სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს

„ამავე დროს, მსურს, ყველა დაფიქრდეს, 2004-ში ჩვენ ჩავიბარეთ საქართველო, რომელშიც გრძელი რიგი იდგა მოქალაქეობიდან გასვლის მსურველების. მსოფლიოში პატარა უმცირესობაა იმ ქვეყნების, რომელთა მოქალაქეობა სასურველი და სანატრელია და ჩვენი ქვეყანა ბოლო წლების რეფორმებისა და ცვლილებების შედეგად ამ ქვეყნების რიგში მოხვდა. ჩვენ ვიბრუნებთ ქართველებს 2004-დან 2012 წლის ჩათვლით. ყველა წელს გარდა 2008-ისა, ჩვენ გვქონდა მიგრაციის პოზიტიური სალდო, ე.ი მეტი ადამიანი დაბრუნდა ქვეყანაში, ვიდრე დატოვა იგი. საქართველო გახდა მიმზიდველი ქვეყანა და ვისაც ეს არ სჯერა, შეუძლია მივიდეს ჯერ კიდევ პრეზიდენტის სასახლესთან და ნახოს ის ხალხი, ვისაც ამის ნამდვილად სჯერა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეს პოზიტიური იმიჯი და მიმზიდველობა არ დავკარგოთ“, — აღნიშნავდა მოქმედი პრეზიდენტი, რომელსაც იმ დღეს ბოლო სამუშაო დღე ჰქონდა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილება მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების თაობაზე, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად შეაფასა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. სამართალმცოდნე, კახი კახიშვილი კი პროკურატურას მოუწოდებს, სააკაშვილის ბოლოდროინდელ ქმედებებთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს. როგორც კახიშვილი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, მიხეილ სააკაშვილის ბოლოდროინდელ ქმედებებში დანაშაულის ნიშნები იკვეთება. მისი თქმით, სააკაშვილის ქმედებები საქართველოს სახელმწიფოებრიობას ასუსტებს და ეს მიზანმიმართული ქმედებებია.

„საზოგადოებაში არასწორად არის გავრცელებული აზრი, რომ თითქოს პრეზიდენტს აქვს დისკრეციული უფლება, ყველას მისცეს მოქალაქეობა, თუმცა, ჩვენ გვაქვს კანონი, რომელშიც წერია, რომ პრეზიდენტს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეუძლია, გამოიყენოს ეს უფლება. ყოველგვარი გადამოწმების გარეშე უცხოელი მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიცემა არის მიზანმიმართული ქმედება, რომ დაასუსტოს საქართველო. მოვუწოდებ პროკურატურას, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყოს. აქვე, უნდა გაერთიანდეს ის შეწყალებები, რომლებიც მან განახორციელა და რომელიც აგრეთვე, არასწორია“, — განაცხადა კახი კახიშვილმა.

მისივე თქმით, საზოგადოებაში არასწორად გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პრეზიდენტს უფლება აქვს, ყველას მიანიჭოს მოქალაქეობა. კანონში მოქალაქეობის შესახებ აღწერილია ის პუნქტები, თუ რა შემთხვევაში შეუძლია პრეზიდენტს მოქალაქეობის მინიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქეზე.

„კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ პირობებს, შესწავლილი უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქის ბიოგრაფია. ასე, ერთბაშად, ექსკლუზიური უფლების გამოყენება არ შეიძლება. მიხეილ სააკაშვილის მოქმედებაში შეინიშნება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დარღვევები. ეს არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება“, — აცხადებს კახიშვილი.

კახიშვილის განცხადებით, მსგავსი ქმედებები საქართველოს დესტაბილიზაციის წინაპირობაა და შესაბამისად, მოუწოდებს პროკურატურას, რომ დაიწყოს ამის გამოძიება.

„მოდით, საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამარტივებული წესით განვიხილოთ შეწყალებასთან ერთად. მან შეიწყალა უამრავი მსჯავრდებული, რომლებიც განსაკუთრებულად მძიმე დანაშაულში იყვნენ ბრალდებულნი. აქედან გამომდინარე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ამგვარი ქმედებები მიზანმიმართულად კეთდება სახელმწიფოს შესუსტებისთვის.

მოვუწოდებთ პროკურატურას, დაიწყოს ამის გამოძიება. პრეზიდენტს ექსკლუზიური უფლება აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. ეს საკითხი შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად, ერთი — ადამიანები, რომლებიც აქ დაიბადნენ, ხოლო იმის გამო, რომ ბოლო წლებში შეუძლებელი გახდა მათთვის ბიზნესის წარმოება და სხვა ქვეყანაში წავიდნენ, ეკუთვნით მოქალაქეობა, მაგრამ ადამიანებს, რომელთაც არანაირი შეხება საქართველოსთან არ ჰქონიათ, არ იციან ისტორია, ენა, ამ კუთხით თუ დავფიქრდებით, პრეზიდენტის ქმედება შესწავლილი უნდა იყოს“, — აცხადებს კახი კახიშვილი.

თამთა ძარჩავა

◎ ეგეგ სხვაგან მაინც არ განმეორდეს!..

სამართალი ქართულად

ყვარლის ქუჩაზე,რეაბილიტირებულ და საცხოვრისად გადაკეთებულ სომხურ სკოლაში 85 დევნილი ოჯახი შესახლდა. ჩატარდა კენჭისყრა, ვის რომელი სართული მოუწევდა, შემდეგ კი დევნილთა მინისტრმა დავით დარასველიძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა მათ საკუთარი ჭერის გასაღები. ერთი შეხედვით, თითქოს პროცესები დემოკრატიულ ფონზე მიმდინარეობდა,მაგრამ თუ საქმეში ღრმად ჩავიხედავთ, აშკარაა, რომ დემოკრატიულობის ნიშანწყალსაც ვერ ვიპოვით.

როგორც ვიცით, დევნილებმა არა მარტო ყვარლის ქუჩაზე, არამედ სხვა მისამართებზე გაიარეს აპლიკაცია. კარგად გვახსოვს, აპლიკაციის დროს შესავსები ტესტები, რომელიც იდენტური იყო სოციალური სტატუსის მინიჭების დროს შესავსები ტესტებისა,რაც იმთავითვე დევნილთა აღშფოთებას იწვევდა. ამ კითხვარებს, არაფერი ჰქონდა საერთო საბინაო პრობლემასთან. დევნილთა სამინისტრო აცხადებს, რომ მან მხოლოდ სოციალურად დაუცველები და ინვალიდები შეასახლა ყვარლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრისში. რეალობა სხვაგვარია, როცა დევნილი,რომელსაც, ტესტების მიხედვით, ყველაზე დაბალი — 8 ქულა ერგო, გარეთ დარჩა. ისე, საინტერესოა, სასურველი შედეგი, რომ დამდგარიყო (კითხვარების მიხედვით) ოცი წლის განმავლობაში, არც ჰიგიენური საშუალებების ხელმისაწვდომობა უნდა გქონოდა და არც ლუკმა უნდა გადაგცდენოდა ყელში. დავიჯეროთ, რომ მხოლოდ ასეთი ხალხი შესახლდა ბინებში? ან არსებობს კი ასეთი ვინმე? რა ქნას იმ დევნილმა, ვისაც არასოდეს სახელმწიფო არ შეუწუხებია, სიმწრით შოულობს ლუკმა პურს და ჭერი არ გააჩნია? ასეთი კატეგორია,იმ მიდგომით, რაც დღეს არსებობს, საბოლოოდ უსახლკაროობისთვის არის განწირული.

სამინისტროში აცხადებენ, რომ 742 ოჯახი უკვე დაკმაყოფილდა, წლის ბოლომდე კი ეს ციფრი 1500-ს გასცდება. (სულ 43000-მდე ოჯახი ელოდება ბინას).

დევნილთა მინისტრი ღია ეთერში აცხადებდა, რომ ბევრი კანონპროექტი, რომელიც ამ წლების განმავლობაში მიიღო მთავრობამ დევნილების საკითხებთან დაკავშირებით, გადასახედია. და ეს ალბათ 2014 წლის საშემოდგომო სესიაზე უნდა მოხდეს. დევნილთა სამინისტროში, ოცი წლის განმავლობაში რომ მოჯადოებული წრე ტრიალებს და ვერ გაირღვა, ესეც ფაქტია. მინისტრიც ღიად აცხადებს, რომ ადამიანები, რომლებსაც მიღებული აქვთ კომპენსაციებიც და ბინებიც, აფათურებენ ხელს იმ მწირ შესაძლებლობებში, რაც განკუთვნილია ამ კატეგორიისათვის.

ბატონო მინისტრო! ეს არა ერთხელ გაცხადებულა, რატომ არ გინდათ დაიჯეროთ, რომ ეს პროცესები ისევ შიგნიდან, თქვენი გარემოცვიდან იმართება? იცით, 11 ნოემბერს, როდესაც თქვენ სხვა, პოლიტიკურ პირებთან ერთად ზეიმობდით დევნილების ახალმოსახლეობას, მაშინ რა ხდებოდა დევნილთა სამინისტროში? აუცილებლად მოგიწევდათ იმ „საიდუმლო“ კარით სარგებლობა, რომლითაც, ამაყად აცხადებთ, რომ არასოდეს გისარგებლიათ. იცით, რომ პირველივე დღეს ჩამოხეს იმ პირთა სია, ვინც ყვარლის ქუჩაზე შესახლდა? იცით თუ არა, რას გაჰყვიროდნენ ათასჯერ იმედგაცრუებული ადამიანები სამინისტროს შენობაში, ვის ადებდნენ ხელს ამ პროცესების უსამართლო მართვაში? რა მძიმე, ბრალდებებს უყენებდნენ თქვენს სისტემას? იქ, საჯაროდ ფიგურირებდა თქვენი ერთ-ერთი მოადგილის ხელი და გვარი, ვისი დასახელებიდანაც ჯერჯერობით თავს ვიკავებ, უმჯობესია თქვენ გაარკვიოთ. ერთი რამის უარყოფა არ შეიძლება: მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენს სახელს და გვარს, უარყოფით კონტექსში არავინ იხსენიებდა, გიხსენიებდნენ, როგორც ამდენი გაიძვერა ადამიანის მსხვერპლს. იქვე, საშვთა ბიუროსთან, ხმამაღლა გაშიფრეს მთელი სქემა, რომ ნაწილდება ბინები, ამას ისე ხმამაღლა აფიქსირებდნენ, რომ ალბათ მეზობელ კორპუსებში ესმოდათ და თქვენმა თანამშრომლებმა ვერ გაიგეს? მე პირადად ვცადე დაკავშირება (იმ დროს იქ ვიმყოფებოდი) თქვენს თანაშემწესთან, პრესსამსახურთან, ვითხოვე საინფორმაციო განყოფილებაში ასვლა, მაგრამ ზარებს არავინ პასუხობდა და საინფორმაციო განყოფილებაში არ ამიშვეს, მათ არანაირი ინფორმაციის მოცემა არ შეუძლიათო.

ღმერთმა არ ქნას, რაც მოვისმინე, ის ყველაფერი სიმართლე იყოს, მაგრამ 1% — იც რომ სიმართლე აღმოჩნდეს, ესეც საკმარისია. ცეცხლი უკვამლოდ არ ჩნდება. ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან, ჯერ კიდევ ორი თვის წინათ ვვარაუდობდით მოვლენების ასეთ განვითარებას, მაგრამ დღეს პრესით, მაინცდამაინც არავინ ინტერესდება, მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა სატელევიზიო სივრციდან „ვარსკვლავების“ მიერ მოწოდებული ინფორმაციებით შემოიფარგლებით-ხოლმე. არადა, პრესის ჟურნალისტები მეტს მოძრაობენ ხალხში, უფრო უგდებენ ხალხის გულისთქმას ყურს. ნიშანდობლივი იყო ვახო სანაიას თოქ-შოუში დევნილთა მინისტრისა და დევნილების მონაწილეობა. ვახო სანაია კარგად იცნობს დევნილთა პრობლემებს,ის ინფორმირებული იყო ამ პროცესების ირგვლივ და სანამ ოფიციალურად მოხდებოდა, ყვარლის ქუჩაზე დევნილთა შესახლება, რამდენიმე ხნით ადრე ღია ეთერში მიიწვია ეს ხალხი. ლამის ეხვეწებოდა ჟურნალისტი დევნილებს, რომ საკუთარ პრობლემებზე ესაუბრა: „ისაუბრეთ თქვენს პრობლემებზე, არ მითხრათ ახლა, პრობლემები არა გვაქვსო“, მაგრამ ბევრი ცდის მიუხედავად, ჟურნალისტმა მათ ერთი სიტყვაც ვერ დასტყუა, მხოლოდ და მხოლოდ სამადლობელი სიტყვები გაისმოდა. იცით ვინ იყო იქ მიწვეული დევნილთა კონტინგენტიდან? მათ უმრავლესობას წლების მანძილზე დევნილთა სამინისტროსგან არაერთი სოლიდური დახმარება მიუღია. მავანთა მცდელობით, სწორედ ასეთი ხალხი შეარჩიეს იმ დღეს. ფაქტია, გაბათილდა მინისტრის სიტყვები, რომ ქულების მინიჭება თუ სხვადასხვა მანიპულაცია დასავლური მეთოდებით ხდება, ამ ყველაფრის თვალყურის დევნების შემდეგ, ღრმად დავრწმუნდი, რომ აქ ყველაფერი ქართულად მოხდა. დევნილების ჯგუფი, ალბათ (როგორც თვითონ განაცხადეს), აპირებს დამოუკიდებელი კომისიის შექმნას, რათა შეისწავლონ, რა პრინციპით მიიღეს ყვარლის ქუჩაზე ბინები, სინამდვილეში ვინ არიან ის ადამიანები, დაირღვა თუ არა ასე სასტიკად სამართლიანობის პრინციპები, მოითბო თუ არა სხვის გაჭირვებაზე ხელი, სამინისტროს ზოგიერთმა წარმომადგენელმა.. ალბათ, ბევრი კითხვა საჭიროებს პასუხის გაცემას. პარალელურად, ვაპირებთ ჟურნალისტური გამოძიების ჩატარებას, რათა ნათელი მოეფინოს გაურკვევლობას. ეგეგ იმას მაინც მივაღწიოთ, რომ რაც ყვარლის ქუჩაზე მოხდა, სხვაგან არ განმეორდეს.

ნატო ხაფთანი

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს...“

ამა წლის 25 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა სააგენტო „დრო და სივრცის“ მასალა სახელწოდებით „მამული, ენა, სარწმუნოება თუ მრავალი მამული, მრავალი ენა, მრავალი სარწმუნოება???“. პუბლიკაციაში მოყვანილ დოკუმენტურ მასალას თავად სააგენტოს საძმიანი რჩევები არ ახლავს, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს თავად მკითხველებმა უნდა გააკეთონ. თუ პუბლიკაციამ მათი ინტერესი გამოიწვია და განსჯის საგნად იქცა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი სწორი, დროული და მართალია. აღნიშნული პუბლიკაციის გამოსვლისთანავე მრავალი მკითხველი დაგვიკავშირდა, ზოგსაც თავად შევეხმიანეთ, ამდენად, ამ ჯერზე, მათ მოსაზრებებს გთავაზობთ.

ნუგზარ ქახაძე, **წალკის მეჩეთის ცენტრის იმამი:** „ისევე, როგორც სხვა ქართველ მუსლიმანს, არ მიმაჩნია, რომ საქართველოში ხდება ისლამური ქვეყნების მხრიდან ეკონომიკურ-რელიგიურ ექსპანსია. მეტიც: თურქეთი სწორედ ის ქვეყანაა, რომელმაც 1990 წლებში საქართველოს მოსახლეობა შიმშილობას გადაარჩინა, ნახევარ ფასებში გვაწვდიდა სურსათს, ეს ყველას უნდა გვახსოვდეს, როგორც ის, რომ ჩვენმა წინაპრებმა, ისლამი მიიღეს და ამ სარწმუნოების მიმდევრები გახდნენ არა ძალდატანებით, მოტყუებით ან მოსყიდვით, არამედ თავისი ნებით, რადგან ისლამი დასაბამიდან პროგრესული და მშვიდობის მომტანი რელიგიაა. დღეს კი ჩვენ, ქართველი მუსლიმანები, ფაქტობრივ დევნას განვიცდით, რისი მაგალითი კერძოდ, ადიგენის რაიონში ბოლო დროს მომხდარი ფაქტია, როცა მორწმუნე ქართველ მუსლიმანებს პოლიცია სასტიკად გაუსწორდა მეჩეთის მინარეთის დადგმის გამო“.

გურამ ბათიაშვილი, **მწერალი, ებრაელთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:** „გავეცანი თქვენს საგაზეთო პუბლიკაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით, უწინარესად, ვიტყვი, რომ ვარ მწერალი, ჩემი ისტორიული სამშობლოა ისრაელი, ხოლო საქართველო, სადაც დავიბადე, გავიზარდე და დღესაც ვცხოვრობ, მეორე სამშობლოა, მშობლიური კი – ქართული ენა. ჩემი შეფასებით, ქართველი ხალხისა და მრავალეროვანი საქართველოს სახელმწიფოს განვითარებას, გაძლიერებას ადგილი მხოლოდ მაშინ ექნება, როცა ყველა ქართველი დედაეკლესიასთან გაერთიანდება, რაც არანაირად არ ნიშნავს საქართველოში მცხოვრები რომელიმე სხვა სარწმუნოების, მათ შორის ებრაელების – იუდეველების რაიმე სახით შევიწროებას. სწორედ ამიტომ კატეგორიულად არ ვიზიარებ 2011 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დამტკიცებულ საკანონმდებლო აქტს ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური კონფესიის თანასწორობის შესახებ, იმიტომ, რომ აღნიშნული აქტი უსამართლოა, რის შედეგად კნინდება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. მოვიყვან ერთ ისტორიულ ფაქტს. მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს წერილობით მიმართა სურამში მცხოვრებმა ქალბატონმა, ეროვნებით ებრაელმა ფიჩხაძემ, რომელმაც აცნობა იმის შესახებ, რომ მისმა ძმებმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ არ მისცეს კუთვნილი ქონების წილი და მეფეს სამართალი სთხოვა. მეფე ერეკლე II-მ მისწერა სურამის გამგებელს და დაავალა, საკითხის გადაწყვეტისას მას, უპირველეს ყოვლისა, ეხელმძღვანელა ებრაელთა სჯულის კანონით, რითიც ებრაელთა სარწმუნოების მიმართ თავისი პატივისცემა გამოხატა“.

დეკანოზი თეიმურაზი (თათარაშვილი), **თბილისის სასულიერო სემინარიის და აკადემიის გამომცემლობის რედაქტორი, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძრის მღვდელმსახური, ფილოსოფიის მაგისტრი, აღმოსავლეთმცოდნე:** „თბილისის სასულიერო სემინარიაში, აკადემიაში და საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ვასწავლი მსოფლიო რელიგიების ისტორიას, ვარ სახელმძღვანელოსა და რამდენიმე სხვა სპეფიციკური წიგნის ავტორი, განათლებით აღმოსავლეთმცოდნე, ფილოსოფიის მაგისტრი, ამდენად, ისლამის თემა, ცხადია, ჩემთვის უცხო არ არის. უდავოა, რომ დღესდღეობით საქართველო ისლამის ექსპანსიას განიცდის და ეს ხდება არა ძალის გამოყენებით, არამედ სხვა ე. წ. მშვიდობიანი ფორმებით, რაც, უპირველესად ყოვლისა, მართლმადიდებელ მღვდელმსახურებისგან მაღალი დონის თეოლოგიურ მომზადებას მოითხოვს. ამ მიზნით თბილისის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში, ასევე ეროვნულ უნივერსიტეტში არა მარტო ისლამის დაარსების, მისი წარსულის, მაჰმადის ცხოვრების ისტორიასა და ყურანთან ერთად ასწავლიან თანამედროვე მსოფლიოში ისლამისა და ტერორიზმის გავრცელების მეთოდებსა და ფორმებს. ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულები თავიანთ საქმიანობაში, სასულიერო მოღვაწეობაში თეოლოგიურად იმ დონეზე უნდა იყვნენ მომზადებულები, რომ თავად მუსლიმანებს ღიად, საღად აჩვენონ მართლმადიდებლობის არსის უდავო ჭეშმარიტება. ამ მხრივ, კერძოდ, გამოვყოფდი შიიტური ირანის რელიგიურ ექსპანსიას საქართველოში, რასაც საფუძვლად ედება ის, რომ ირანში ქალაქ ყომის მსოფლიოში ცნობილ შიიტურ უმაღლეს სასწავლებელში ბოლო წლებში სწავლობენ საქართველოს მოქალაქეები, უმეტესწილად აზერბაიჯანელები, რომლებიც კარგად განსწავლული თეოლოგები გამოდიან, ფლობენ სხვადასხვა უცხო ენებს – სპარსულს, არაბულს, ინგლისურს და ა. შ., საქართველოში ჩამოსვლისას ეს პირები ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანელ შიიტებში რელიგიურ-თეოლოგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან. ამას ადასტურებს ბოლო წლებში საქართველოში მოქმედი ირანის „ალ-მუსტაფას“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობა, რომელიც უფასოდ, გარკვეული სოციალური ეკონომიკური მზრუნველობის გამოყენების ფარგლებში, ახალგაზრდა აზერბაიჯანელებში ისლამის საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. ამ სასწავლებლის წარჩინებული მოსწავლეები აგრძელებენ სწავლა-განათლებას „ალ-მუსტაფას“ საერთაშორისო უნივერსიტეტში. საკამათო არ არის, რომ აღნიშნულ პროცესს აშკარად ხელი შეუწყო იმან, რომ 2004-2012 წ. წ. საქართველოს და ირანს შორის დამკვიდრდა უვიზო მიმოსვლა, რომელიც, მართალია, 2013 წელს შეწყდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტობრივად, დღესაც არსებობს. ირანის კონსტიტუციით ისლამი სახელმწიფო რელიგიაა, თუმცა, ამის გარდა, აღიარებულია, იუდაიზმი, ზოროასტრიზმი და ქრისტიანობა, მაგრამ უკანასკნელი სამი რელიგიური კონფესიის უფლებებს იგივე კონსტიტუცია მნიშვნელოვნად ზღუდავს, იკრძალება მათი ნებისმიერი სახით პროპაგანდა. საქართველოში კი, პირიქით, განსაკუთრებით 2011 წლიდან, მართლმადიდებლურ სარწმუნოებასთან თანასწორუფლებიანია ნებისმიერი სხვა რელიგიური კონფესია, მათ შორის ისლამი. ეს კი ქართველი ერის ერთიანობისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. თქვენი საგაზეთო საგენტოს საგაზეთო გამოსვლა დროული, აუცილებელი და კომპეტენტურია, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის ფორმაში გამოიხატა, როცა პოზიციას გამოხატავთ არა თქვენ, არამედ საქართველოში მოქმედი სხვადასხვა კონფესიის პირველი და თვალსაჩინო სასულიერო პირები. ამასთანავე, ვიზიარებ დეკანოზ თეიმურაზ მჟავანაძის პოზიციას, რომ გმირობის ტოლფასია, თუ მუსლიმანი ქართველები დაუბრუნდნენ დედეკლესიას – მართლმადიდებლობას.

სოსო მანჯავიძე, **„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი:** „გავეცანი თქვენს საგაზეთო პუბლიკაციას, რომელშიც დღევანდელ საქართველოში ისლამური ქვეყნების მხრიდან ეკონომიკურ-რელიგიური ექსპანსიის საშიშროების თაობაზეა ლაპარაკი. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, აშკარად ჩანს, რომ აღნიშნული საშიშროება უდავოა. ეს ექსპანსია საქართველოში მტკიცედ დამკვიდრდა 2004-2012 წ.წ., როცა ქვეყანას სააკაშვილის პოლიტიკური ორგანიზაცია მართავდა. სწორედ მისი ძალისხმევით მოხდა, რომ საქართველოში ორმაგი მოქალაქეობა მიიღო მრავალმა ათასმა კაცმა, მათ შორის, კერძოდ, თურქეთის მოქალაქემ, ადგილი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი მიწების ამ მოქალაქეებზე საკუთრებაში გადაცემას, ქვეყნის ეკონომიკა კი ყოველმხრივ გახდა დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოსთვის დამანგრეველ თურქულ და ირანულ იმპორტზე. დასამალი არ არის, რომ ისლამური ემისრების მხრიდან ხორციელდება, ერთი მხრივ, გადაბირება და დაინტერესება ქართველი მუსლიმანების, რის შედეგად ხდება ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის საშიში ისლამისტური გამოსვლები. აღნიშნული პროცესი თვითდინებით გრძელდება დღესაც, ლამის ყოველდღე იხსნება ე. წ. შპსები, რომელთა მესაკუთრეები თურქეთის, ირანის, სირიის, ეგვიპტისა და სხვა ისლამური ქვეყნების მოქალაქეები არიან, რომელთა გარკვეული ნაწილი სარგებლობს ორმაგი მოქალაქეობით. სწორედ ამ პირთა საკუთრებაში არსებული შპს-ები დაკავებულნი არიან ჩვენი ქვეყნის მიწებისა და უძრავი ქონების – სახლების, ბინებისა და ა. შ. შესყიდვით. სწორედ ამიტომ საკანონმდებლო დონეზე უნდა აიკრძალოს ნებისმიერ უცხოელზე მიწების გაყიდვა და დღემდე გაყიდული მიწები სავალდებულოდ უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფოს. სხვა შემთხვევაში ქართველ ერსა და სახელმწიფოს სამომავლოდ სოციალ-ეკონომიკური და დემოგრაფიული კატასტროფა ელის. შექმნილ ვითარებაში მიმაჩნია, რომ გმირობის ტოლფასია, როცა მრავალი ქართველი მუსლიმანი მზადაა მართლმადიდებლობის მისაღებად, რითიც, უწინარესად, პატივს სცემს თავის წინაპრებს, რომლებმაც ისლამი მოტყუებით ან ძალდატანებით მიიღეს. ეს არანაირად არ უარყოფს ისლამს, როგორც საქართვლეოში მოქმედი ერთ-ერთი რელიგიური კონფესიას. ამავე დროს, ილია მართლის სიტყვები „მამული, ენა, სარწმუნოება“ ყველა ქართველისთვის მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდა იქცეს ქვეყნის გადარჩენისა და მისი სამომავლო გაძლიერებისთვის“.



არქიმანდრიტი ბართლომე (ფირცხალაიშვილი) **ფერისცვალების მამათა მონასტრის წინამძღვარი:** „თქვენი საგაზეთო პუბლიკაცია დროულია და აუცილებელი. ამის საფუძველს იმაში ვხედავ, რომ საქართველოში დადგა დრო, როცა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით ყველას და ყველაფერს უნდა გაეცეს სამართლიანი, კომპეტენტური პასუხი, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სამშობლოსადმი და ქართველი ერის სარწმუნოებისადმი სიყვარული და ერთგულება. აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად ვიზიარებ მამა თეიმურაზ (მჟავანაძის) პოზიციას: დიახ, გმირობის ტოლფასი იქნება ის, რომ ყველა ქართველი მუსლიმანი გააზრებულად ჩათვლის საჭიროდ დაუბრუნდეს მართლმადიდებლობას, თუმცა, ეს ძალდატანებით არ უნდა მოხდეს. ჩემი შეფასებით, ქართველ მუსლიმთა დიდი ნაწილი მზად არის ამისთვის, თუ არ ჩავთვლით იმათ, რომლებმაც უკვე თავიანთი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიიღეს მართლმადიდებლობა. არავისთვის საკამათო არ უნდა იყოს, რომ ასეთი მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორც ქართველი ერია, მამული, ენა, სარწმუნოება უნდა იყოს ერთი, ხაზს ვუსვამ: სარწმუნოება – მართლმადიდელობა. საკითხთან დაკავშირებით მოგიყვანთ ერთ სასიხარულო მაგალითს: რამდენიმე დღის წინათ პირადად მე და რამდენიმე ბერმა მოვნათლეთ ქართველი ახალგაზრდა მუსლიმანი კაცი, რომელიც ქუთაისში, ერთ-ერთი ტაძრის მშენებლობაზე მუშაობს და მის მაგალითს, მისივე თქმით, მოკლე დროში მისი ოჯახის წევრები, მათ შორის შვილები მიყვებიან. რასაკვირველია, ისლამის ექსპანსია იგრძნობა მთელ მსოფლიოში, სწორედ ამიტომ საქართველოს ისტორიის ბოლო 9-10 წლის განმავლობაში განსაკუთრებულად და საგანგაშოდ იგრძნობა, რომ ქვეყანაში ისლამიზაცია ღრმავდება როგორც რელიგიური, ასევე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით. და თუ ჩვენ დღეს ამას წინ არ აღვუდგებით, ხვალ გვიან იქნება.

თამაზ შილაქაძე, **შპს „საქგზის“ დირექტორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე:** „დიდებულია, საჭირო და აუცილებელი თქვენი პუბლიკაცია. მე, როგორც სისხლით ქართველი და სარწმუნოებით მართლმადიდებელი, ვიმედოვნებ, რომ თქვენი მშვიდობიანი წამოწყება, რომლის მიზანია სიყვარულით და კეთილშობილებით სავსე ქრისტიანობა, თავის მშვიდობისა და სიყვარულის მომტან ყლორტებს საბოლოოდ გამოიღებს“.

ერეკლე საღლიანი, **პოეტი, მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი:** „თქვენმა სტატიამ დამაინტერესა თავისი ეროვნულობით. გლობალიზმი, რომლის შესახებ ყველა ჩვენგანი ამ ბოლო დროს ისმენს, ჩემი შეფასებით, ფსევდოგლობალიზმია. რაც შეეხება იმას, გმირობის ტოლფასია თუ არა ის, როცა ქართველი მუსლიმანი თავისი წინაპრების მართლმადიდებელი ქრისტიანების ხსოვნის პატივსაცემად და ერის გამთლიანებისათვის ჩათვლის საჭიროდ, დაუბრუნდეს ქართველთა დედა-ეკლესიას, მართლმადიდებლობას, ეს ცხადია, ჭეშმარიტი სიმართლეა, მაგრამ ამ მიმართულებით საჭიროა დიდი სითბოს, მზრუნველობისა და სიფაქიზის გამოჩენა. სწორედ ამიტომაა საჭირო დიდი მუშაობა, რათა ჩვენი პატრიარქის ერისადმი მიწოდებამ „უფალი, ერი, ადამიანი“ გააძლიეროს თითოეულ ქართველში მოთხოვნა ერთი მამულის, ენისა და სარწმუნოებისა, რაც, დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ არამარტო გადაარჩენს ქართველ ერს და გაამთლიანებს საქართველოს, არამედ დაამყარებს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობის ენისა და სარწმუნოების პატივისცემას, რაც მყარ საძირკველს ჩაყრის საიმისოდ, რომ თითოეული მათგანისათვის საქართველო აღქმული იქნას, როგორც სამშობლო, ქართული ენა კი – მშობლიურ ენად“.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.

◎ დედაქალაქი

ჩვენ, „სითი პარკის“ იმპერიის მონები...

ყველა დიდი ქალაქივით პარადოქსები თბილისისთვისაც ჩვეული ამბავია, მაგრამ ერთი, ჩემი აზრით, მაინც გამორჩეული და თვალში საცემია. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის გაჭირვებულობის მიუხედავად, ავტომანქანების რიცხვი წლიდან წლამდე შესამჩნევად მატულობს, რაც მტკვრის ხეობის მთაგორიანი ფერდობებით შებოჭილი დედაქალაქის ვიწრო ქუჩებს, განსაკუთრებით პიკის საათებში, საავტომობილო მოძრაობისთვის ძნელად გასავლელს ხდის, სხვა დროს კი, მით უმეტეს ცენტრალურ უბნებში, მანქანის გასაჩერებელი ადგილის პოვნის პრობლემას ჰქმნის. ბევრ ქუჩაზე ავტომანქანები მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარებზეც შეიჭრნენ, ხალხს თავისუფალი გადაადგილების არეალი შეუმცირეს, ხშირად საფრთხესაც უქმნიან დიდებსაც და პატარებსაც. ბოლო წლებში ბევრი ახალი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობა წამოიმართა დედაქალაქში, თუმცა, არქიტექტურული მშვენიერება-სიკოხტავის მიუხედავად, ურბანული თვალსაზრისით ყველას ერთი დიდი ნაკლი აქვს: მათ მახლობლად, თავისუფალი მიწის ნაკვეთების მწვავე დეფიციტის გამო, ავტოსადგომები, ფაქტობრივად, არსად არ არის, ანდა ზომით იმდენად მცირეა, რომ შექმნილ მდგომარეობას არსებითად არ ცვლის.

ეს ამბავი, ბუნებრივია, თბილისის მერიის თვალთახედვის არიდან არ ამოვარდნილა და ორიოდე წლის წინათ დედაქალაქის ქუჩებში (ბევრგან, როგორც ზემოთ ვთქვი, ტროტუარებზეც!) ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილების მონიშვნა დაიწყო. უფრო სწორად, როგორც ყველა თბილისელისთვის კარგადაა ცნობილი, ამის გაკეთება არა თავად, არამედ თბილისში ავტოპარკინგის მოსაწესრიგებლად ისრაელის კომპანია „სითი პარკი“ შემოიყვანა, რომელმაც მანქანის გასაჩერებლად ყველა მეტ-ნაკლებად გამოსადეგი ქუჩის ალაგ-ალაგ წყვეტილი თეთრი ხაზებით მონიშნა, რომელთა შიგნით მათი გაჩერების ნება დართო, მათ გარეთ გაჩერებულთა მძღოლების კი არნახული აქტივობით დაჯარიმებას შეუდგა. თუმცა, „სითი პარკი“ არც ამით დაკმაყოფილდა და ასეთ ურჩ მძოლთა ავტომანქანები დიდი მონდომებით გადაჰყავს ქალაქგარეთ თავის სადგომებზე, რის შედეგად მანქანის ასეთი „ტყვეობიდან“ დახსნა საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება.

სიმართლე გითხრათ, თბილისის მერიისა და „სითი პარკს“ შორის დადებული ხელშეკრულების დეტალები ჩემთვის უცნობია, თუმცა კი ისევე, როგორც ყველა ჩემმა თანამოქალაქემ ვიცი, რომ კომპანიის შემოსავალი, როგორც ოფიციალურად ნებადართულ პარკირების ადგილებში მანქანების გასაჩერებელი ნებართვების საფასურიდან, ასევე ჯარიმებიდან და ევაკუირებისა და შემდგომ მის კუთვნილ ავტოსადგომზე ყოველდღიურად დაწესებული გადასახდელი თანხებისგან შედგება. იმისთვის კი, რომ კომპანიის კონტროლიორები მეტი მონდომებით მუშაობდნენ, ხელფასს არა დადგენილი განაკვეთით, არამედ გამომუშავების მიხედვით უხდიან, რაც ხშირად მათი არაადეკვატური „პრინციპულობის“ მიზეზი და, შედეგად, ავტომანქანების მფლობელებთან უსიამოვნებათა მიზეზი ხდება.

ესეც იქით რომ იყოს, თბილისის მერიისა და „სითი პარკის“ „ჩახუტების“ ამბავი კიდევ ერთი რამითაა საყურადღებო: **კომპანიას დედაქალაქში ავტოპარკინგის ზედამხედველობის ექსკლუზიური უფლება 50-წლიანი ვადით აქვს მინიჭებული, რასაც ჩვენს ლამის ყოველდღიურად ცვალებად დროში მსოფლიოს არც ერთ დიდ ქალაქში პრეცედენტი არა აქვს.** სწორედ ამ გარემოებას მიაქცია, უწინარესად, ყურადღება თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ზაზა გაბუნიამ,** როცა აღნიშნულ საკითხზე ვესაუბრე.

– კომპანია „სითი პარკის“ საკითხი, როგორც ჩანს, არა იმდენად საკრებულოს, რამდენადაც სასამართლო განსჯის საგანი უფროა, რომელსაც, ალბათ, მივმართავთ, – თქვა ბატონმა გაბუნიამ. **– ამის საბაბი კი სწორედ ის ხსენებული ხელშეკრულებაა, რომლის რამდენიმე მუხლი იმის საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ საქმე გარკვეულ გარიგებასთან გვაქვს.** უპირველესად, მხედველობაში მაქვს ხელშეკრულების ნახევარსაუკუნოვანი ვადა, რის რამდენადმე მიახლოებული ვარიანტიც კი მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს!

საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, სხვა დიდ ქალაქებში ამ ტიპის მომსახურების ვადა შეუდარებლად ხანმოკლეა – ორ-სამ, ან, ვთქვათ, ხუთწლიანი. ამ გარემოებას ქალაქების ტერიტორიების ზრდა, გარკვეული ტექნოლოგიების დანერგვა, სადგომების და ავტომანქანების რიცხოვნობის მატება და მრავალი სხვა განაპირობებს.

– მთავარი ქუჩების ასფალტზე მანქანების გასაჩერებელი ადგილების მონიშვნა კი არ არის მთავარი საქმე, გადასაჭრელი გაცილებით მასშტაბიანი პრობლემებია, მაგალითად, მრავალსართულიანი ან მიწისქვეშა ავტოსადგომების მოწყობა, რაც თანამედროვე ურბანული განვითარების ერთ-ერთი უმწვავესი საკითხია, –ამბობს ბატონი ზაზა. – საქმე ერთი ადგილის ტკეპნა და ჯიბის გასქელება კი არა, ქალაქის განვითარებაზე ზრუნვაა. ამდენად, ვფიქრობ, რომ **ამ ხელშეკრულების მართებულობა სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს, იგი ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ხოლო შემდგომ თბილისში ავტოპარკინგის უფლების მოსაპოვებლად ახალი, საზოგადოებისთვის გამჭვირვალე ტენდერი უნდა ჩატარდეს.**

ბატონ გაბუნიას თქმით, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, თბილისის მერიის ხელმძღვანელობა, რომლის ნაწილმა ამჟამად საკრებულოში გადაინაცვლა, კონტრაქტის გაფორმებამდე რამდენჯერმე იმყოფებოდა ისრაელში, სადაც აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკებებს მართავდა. არადა, რამდენადაც ყველასთვის კარგადაა ცნობილი მსოფლიო პრაქტიკიდან, როგორც წესი, პირიქით ხდება – კონკრეტული დაკვეთის მიღების მსურველი კომპანია აქეთ აკითხავს დამკვეთს და მის მიერ წამოყენებულ პირობებზე მორგებას ცდილობს. ამ შემთხვევაში კი პირიქით იყო, ამდენად, კითხვა, თუ რის სანაცვლოდ ხდებოდა ყოველივე, სავსებით სამართლიანია.

– ჩემი მხრიდან ნამდვილად პოპულისტური იქნებოდა იმის თქმა, რომ ყოველივე ამისა და ამის გამო იყო, თუმცა კი გარკვეული ვარაუდები მაქვს, მაგრამ ამას ჯერ სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს, რადგან საკითხთან დაკავშირებული ჩვენი ადრინდელი განცხადებები პოლიტიკური ხასიათისაა, რაც საკმარისი არ არის, – აღნიშნა ზაზა გაბუნიამ. – კულუარულად მაქვს ინფორმაცია, რომ **2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კომპანია „სითი პარკი“ საქართველოში მოღვაწეობის შეწყვეტას აპირებდა, რაც ბუნებრივია, გარკვეულ გარემოებებზე მიანიშნებს. თუმცა, შემდეგ იგი მაინც დარჩა თბილისში, მის მენეჯმენტს კი ამასთან დაკავშირებით მასმედიისთვის განმარტებების მიცემა მოუწია.**

– ამდენად, მიმაჩნია, რომ ეჭვების გასაფანტავად, ანდა, პირიქით, მათ დასადასტურებლად, აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე სასამართლო მოკვლევების ჩატარება, – დასძინა მან.

ოთარ ტურაგელიძე

P. S. ისე, კაცმა რომ თქვას, მოსემ ებრაელები უდაბნოში ორმოცი წელი ატარა, რათა ეგვიპტურ მონობაში დაბადებულ-გაზრდილი თაობა ბუნებრივად შეცვლილიყო, აღთქმულ მიწაზე სულით თავისუფალი ადამიანები მისულიყვნენ და ახალი ქვეყანაც სწორედ მათ აეშენებინათ. ბევრი მეცნიერის ეს მოსაზრება საავსებით ლოგიკურია, მაგრამ მისგან განსხვავებით თბილისის „სითი პარკის“ ჩანაფიქრი თბილისის მერიის „სამეფო კარის“ კულუარული თამაშების ბურუსშია გახვეული. იქნებ დროა მას ჭეშმარიტების ნათელი მოეფინოს? თუ დღევანდელ ავტომფლობელებს კიდევ ნახევარი საუკუნე მოგვიწევს „სითი პარკის“ იმპერიის მონობა?

ო. ტ.

◎ ალიან-ჩალიანი

საქართველოში ახალი ეპოქა და ჭეშმარიტი დემოკრატიული მმართველობა დაიწყო

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ინაუგურაციის ცერემონიის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს მოსახლეობას პრეზიდენტის ინაუგურაცია მიულოცა. – დასრულდა ავტორიტარული რეჟიმის დრო, რომელიც დაფუძნებული იყო ძალადობასა და სიცრუეზე და დღევანდელი ინაუგურაციის შემდეგ მოვიდა ჭეშმარიტი დემოკრატია. ჩვენ გვყავს ჭეშმარიტად ევროპული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და გვეყოლება ასეთივე მთავრობა. საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა და ვულოცავ ამ დღეს საქართველოს მოსახლეობას, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

შემცირდება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრთა რაოდენობა

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, პოლიტსაბჭოში ამჟამად 21 წევრია და წევრთა რაოდენობა 12-მდე შემცირდება. მისივე თქმით, წევრების შემცირება გამოიწვია იმან, რომ მოხდეს პოლიტსაბჭოს საქმიანობის ხარისხობრივი ამაღლება.

– კონკრეტულ პიროვნებებთან არანაირი პრობლემა არ ყოფილა, თუმცა, ბევრი ადამიანი ვერ ახერხებდა პოლიტსაბჭოს სხდომაზე მოსვლას გარკვეული მიზეზების გამო და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ შემცირებულიყო პოლისტაბჭოს წევრთა რაოდენობა, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

ისრაელთან ვიზები გაუქმებულია

სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს შორის შეთანხმება უკვე გაფორმებულია. შესაბამის დოკუმენტს გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოეწერა ხელი.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელი მოეწერა „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის ეროვნული პასპორტების მფლობელთათვის ვიზისგან გათავისუფლების შესახებ“ შეთანხმებას. საქართველოს მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ხოლო ისრაელის მხრიდან – ისრაელის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ფაინა ქირშენბაუმმა. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისათვის ისრაელის სახელმწიფოში 6 თვის განმავლობაში 90 დღით უვიზოდ ყოფნას, – აცხადებენ უწყებაში.

ამასთან, შსს-ს ცნობით, ირაკლი ღარიბაშვილმა და ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა ხელი მოაწერეს დანაშაულთან ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას – „საქართველოს მთავრობასა და ისრაელის სახელმწიფოს მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საჯარო უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის შესახებ.

აღნიშნული შეთანხმებები ძალაში მას შემდეგ შევა, რაც მხარეები აუცილებელ შიდასახელმწიფოებრივ პროცედურებს დაასრულებენ.

სენაკის საკრებულოს თავმჯდომარე თანამდებობიდან გადაყენეს

მურად შამათავა თანამდებობაზე ერთი კვირის წინათ, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაბრუნდა, თუმცა, საკრებულოს წევრებმა გუშინ კვლავ მიიღეს მისი გადაყენების გადაწყვეტილება.

ამასთან, შამათავას მხარდამჭერები აცხადებენ, რომ ეს არის სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ მისაბიშვილის დაკვეთა და სენაკის საკრებულოში კვლავ „ნაციონალები“ არიან, ოღონდ უკვე სახელისუფლო პარტიებში გადასული.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა მომავალი პრეზიდენტის შეზღუდულმა უფლებებმა განაპირობა... მოლ – ავირჩევთ, თორე მაგანაც მთები არ გადადგასო.
- სააკაშვილმა და ბარნოვმა შაბათს პრეზიდენტის სასახლეში ნათურები დახსნეს. იმათ მაინც არ უნდათ, ჩვენ კიდე ბაზრობაზე ჩავაბარებთო.
- მისტერ ნორლანდმა, კონტექსტიდან ამოვარდნილად გაავრცელეს ჩემი ნათქვამიო. თავის მართლება დაიწყო ამერიკის ელჩმა!

ასეა, როდესაც რაღაცის ჭამაზე წაასწრებ, მაშინ ახსენდებათ „კონტექსტიდან ამოვარდნები“...

მე ის უფრო მაბრაზებს, როგორ არ აღმოჩნდა სტუდენტებში ერთი ვაჟასეული ქართველი, ვინც გათავხედებულ დესპანს პირში მიახლიდა – „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“!!!

- ედუარდ სააკაშვილმა Ipod-ით ახალი რეკორდი დაამყარა – წამნახევარში აკრიფა „მამაჩემი უმუშევარია“.
- თუ მიშა არ მიდის სამსახურში, „სიტყვა და საქმე“ მიდის მიშასთან (ნაროდნი).
- 17-ში, 12-ს რო გადაცდა, მიშას ელექტრომობილი კვახად გადაიქცა?
- იმენა ტოკიან ბუტკაში შეიყვანა და მიჯირყნა...
- დღეს კოორდინატორმა ანჟელამ ულვაშებში ისე ჩაიცინა, დავეჭვდი, ინაუგურაცია იყო, თუ დამესიზმრა.

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ვნებები ხორბლის გარშემო

ნაცებმა ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმეს და კანონი არარეალური გახადეს

საპაკაშვილის ხელისუფლებამ 2005 წელს შეგნებულად, მიზანმიმართულად გააუქმა კონკურენციის სააგენტო და კანონი მის მიერ ხელდასხმულ მონოპოლიებს მოარგო. შედეგად ის მივიღეთ, რომ ყველა სფეროში ბაზარი მთლიანად მონოპოლისტებმა ჩაიგდეს. გაქრა კონკურენცია, მსხვილმა ბიზნესმა ჩაყლაპვა დაუწყო საშუალოსა და მცირეს.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, ნაციონალებისგან მემკვიდრეობით მიღებული კანონი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მისით რეალურად ვერაფერის გაკეთება ვერ ხერხდება. მასვე მიაჩნია, რომ საჭიროა ისეთი ძლიერი სააგენტოს შექმნა, რომლის საქმიანობაში ვერ ჩაერევა ვერც სახელმწიფო და ვერც ბიზნესი.

მცირე და საშუალო ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოხრეიძე თვლის, რომ დღეს არსებული კანონი მთლიანად შესაცვლელია და მისაახლოებელია ევროპულ სტანდარტებთან. იგი მიიჩნევს, რომ ულტრალიბერალიზაცია კარგ შანსს აძლევს მსხვილ ბიზნესს, ჩაყლაპოს უფრო მცირე. საქართველოს მსგავსი პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის ეს მეტად მტკივნეულია, კოხრეიძე ხელისუფალთაც აფრთხილებს, რომ ყველა რეგულაცია, რომელიც მომავალ კანონში უნდა გაიწეროს, დეტალურად უნდა განიხილონ დიდი სიფრთხილით, რათა ის შემდეგში ბიზნესისთვის დამატებით ტვირთად არ იქცეს.

კანონპროექტი მზადაა

როგორც ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნათია მიქელაძე აცხადებს, კანონპროექტზე მუშაობა დამთავრებულია და ის მთავრობაშია შესული, იქ მას განიხილავენ და დასამტკიცებლად პარლამენტს გადაუგზავნიან. ეკონომიკის სამინისტროში იმედი აქვთ, რომ ეს ამ წელს მოხდება და 1 იანვრიდან უკვე ძალაში შევა. კანონპროექტის მიხედვით, შეიქმნება მძლავრი კონკურენციის სააგენტო, რომელიც პირველივე დღეებიდან დაიწყებს არსებული მონოპოლიების დაშლასა და ამ მონოპოლიების სფეროებში ბაზრის გახსნაზე მუშაობას. სააგენტო დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან ერთად, მას, როგორც იურიდიულ პირს საკუთარი შემოსავლებიც ექნება. ის ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტისა და პრემიერის წინაშე. მოხდება მის მიერ გაწეული სამუშაოების ყოველდღიური მოსმენა. კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით ასეთად დათქმულია ყოველი წლის 1 მაისი.

კანონის დამრღვევ ბიზნესმენს დაეკისრება ჯარიმა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში კომპანიის წლიური ბრუნვის 10 პროცენტს. მოკლედ, ჯარიმის რაოდენობა აღარ იქნება დამოკიდებული შემმოწმებლის შეხედულებებსა და ხუმტურებზე.

ბიზნესმენი, რომელიც მიიჩნევს, რომ კონკურენციის კანონის დარღვევით მას მიადგა ზიანი, შეუძლია, მიმართოს სააგენტოს, ამ ორგანოს დარღვევების თაობაზე შეუძლია მიმართოს (თუნდაც მას არ ადგებოდეს ზიანი), ნებისმიერმა პიროვნებამ.

კანონპროექტის მომზადების გაჭიანურებას ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იმ გარემოებებით ხსნის, რომ კანონი საკმაოდ რთულია და მასზე კარგა ხნის მუშაობა მიმდინარეობდა. მისივე განმარტებით, მონოპოლისტად ჩაითვლება ის კომპანია, რომლის წილიც ბაზარზე 40 პროცენტი იქნება.

საშუალო და მცირე ბიზნესი მოუთმენლად ელის კანონის ძალაში შესვლას, — აცხადებენ ექსპერტები და სპეციალისტები.

მონოპოლია ქართულ მეხორბლეობას ჩაძირვით ემუქრება

წისქვილკომბინატები ფქვილის რეალიზაციის შემცირების მიუხედავად, ცდილობენ, ბაზრიდან არ გაქრნენ. ისინი სულს ღაფავენ. გაკოტრების ზღვარზე დგანან, მიზეზად ასახელებენ ამ პროდუქტზე აზერბაიჯანული კომპანია „კარმენის“ მონოპოლიას. — აცხადებს საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლევან სილაგავა.

მისი და მეწისქვილეების განმარტებით, „კარმენი“ ქართული ბაზრის დაახლოებით 60-70 პროცენტს აკონტროლებს. ეს ძლიერი კომპანიაა, — ამბობენ მეპურეები. აზერბაიჯანელები საქართველოში საწყობების 90 პროცენტს ფლობენ, მათ ყაზახეთში აქვთ საკუთარი ყანები. ჩამოაქვთ საკუთარი პროდუქტი, ინახავენ თავისსავე საწყობებში, ფქვავენ საკუთარ წისქვილკომბინატში.

ამ კომპანიამ 2007 წლიდან ნაციონალების შეგნებული წაყრუებითა და მაამებლობით (რის საფასურად?! — **ზ. ბ**) ეტაპობრივად შეიძინა 4 მსხვილი წისქვილკომბინატი გორში, მარნეულში, მზეკაბანსა და კაჭრეთში. გადაიაარაღა ისინი და ამჟამად ისინი დღეში 13 000 ტონა ფქვილს აწარმოებენ, რაც საქართველოს ფქვილით 100 პროცენტით მომარაგებას ნიშნავს, — აღნიშნავს სილაგავა.

იგი იმასაც ამბობს, რომ ქართულ მეხორბლეობას „კარმენი“ პრობლემებს უქმნის, რადგანაც კომპანია ფასებს ფერმერებს თვითონ უწესებს. შედეგი შეიძლება ის გახდეს, რომ დარგი არარენტაბელურად იქცეს. მეწარმეები მოუთმენლად ელიან ანტიმონოპოლიური კანონის ამოქმედებას. ამასთან, მომავალი წლიდან ძალაში შედის კიდევ ერთი კანონი ადგილობრივი ვაჭრობის ღონისძიებათა შესახებ. იგი გულისხმობს ადგილობრივი პროდუქციის დაცვას ბაზარზე არასამართლიანი კონკურენციისაგან. მაგრამ ერთია კანონის მიღება და მეორეა ნება, რათა კანონი ეფექტური იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმეობას არაფერი ეშველება, მიაჩნია ასოციაციის თავმჯდომარეს.

მეწისქვილეების განმარტებით, „კარმენი“ ხელოვნურად წევს დაბლა ხორბლის ფასს, რათა გააკოტროს მეწარმეები. თუ ერთი ტომარა რუსული ხორბლის ფქვილი 37 ლარი ჯდება, აზერბაიჯანელები თავისას 34 ლარად ყიდიან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ხორბლის ნათესების გაზრდა და ქართულ ბაზარზე ხორბლის იმპორტის შემცირებაა. წლეულს ხორბალი 80 ათას ჰექტარზე დაითესა, საიდანაც 210 ათას ტონა მოსავალს ელიან, რაც 2003 წლის შემდეგ აღარ აუღიათ. ამასთანავე მიმდინარეობს ხორბლის ახალი ჯიშების გამოყვანა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მოსავლიანობას.

თუ ჯანსაღი კონკურენცია არ იქნა, ყველა მცდელობა ფუჭი იქნება, თვლიან მეწისქვილეები.

ზაზა ბილიხოძე

◎ „შაბათობა რეზიდენციაში“

ხალხის ფულით ნაგები ხალხმა უნდა მოიხმაროს

ძვეყნის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ერთი დღით ადრე საქართველოდან დროებით (იქნებ სამუდამოდ) გადახვეწილმა პრეზიდენტმა „მოწყალება გაიღო“ და მოქალაქეებსა და თბილისის სტუმრებს უფლება მისცა, დაეთვალიერებინათ მისი სასახლე. ეს განცხადება პარასკევს პრეზიდენტის რუპორმა ანდრო ბარნოვმა გვამცნო. შაბათ დილით მართლაც უამრავი მსურველი მიაწყდა ავლაბრის რეზიდენციას და არც იყო გასაკვირი, რადგან ყველას სურდა ეხილა, თუ რა პირობებში უხდებოდა „მოღვაწეობა“ და მზადება თავისი უგუნური, და მცირედთათვის მისაღები ბრძანებების გაცემისა ქვეყნის პირველ პირს, რას წარმოადგენდა შიგნიდან ჩვენი ფულით ნაგები სასახლე, რომელიც, გარდა ოფიციალური სტუმრებისა, მხოლოდ მიშას რჩეულთა „საგრიალოს“ წარმოადგენდა.

ორ-ორ ჯგუფად ოცდაათ-ოცდაათი მსურველი ყოველგვარი საბუთისა და ზერელე შემოწმების შემდეგ შედიოდა რეზიდენციაში. მრავლად იყვნენ უცხოელები და პატარები. დასათვალიერებელი მართლაც ბევრი იყო დაწყებული მშვენიერი არქიტექტურით, დამთავრებული პრეზიდენტის საჩუქრებითა და პირადი ნივთებით. მაგრამ ყველაზე საინტერესო რეზიდენციის სტუმართა აზრი იყო. გაოცებული შუახნის მამაკაცი, რომელიც პროფესიით ინჟინერი, ამჟამად „დროებით“ უმუშევარი აღმოჩნდა შვილიშვილთან ერთად ათვალიერებს დარბაზს — **„ძმაო, ტყუილად ამბობს ახალი პრეზიდენტი, აქ არ შემოვალ და მორიდებულად უნდა ვიცხოვრო სხვა სასახლეშიო. იგი ჩვენი ფულითაა აშენებული და პრეზიდენტისთვისაა განკუთვნილი. რითაა მაგი მიშაზე ნაკლები, მოვიდეს და მართოს აქედან“.**

სულ სხვა აზრისაა ახალგარდა ქალბატონი, რომელიც პედაგოგი ბრძანდება — **ეს ხალხის ქონებაა და ხალხს უნდა დაუბრუნდეს, კარგი აზრია თუ უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთდება და განათლების სამინისტროს გადაეცემა.**

ყველას თავისი აზრი აქვს, ვიღაცას მუზეუმის გახსნა სურს, ვიღაცას სასწავლებლის, ვიღაცას „მინისტრთა საბჭოსთვის“, ანუ მთავრობისთვის გადაცემა. მთავარია, ქვეყანა წელში გაიმართოს, ხალხმა ამოისუნთქოს, დადებული პირობები შესრულდეს, ტერიტორიები დავიბრუნოთ, მეზობლების არ გვეშინოდეს და რეზიდენციასაც გამოუჩნდება პატრონი და ფუნქცია.

მე რომ მკითხოთ, მხარს ვუჭერ ამ შესანიშნავი სასახლის არქიტექტორს ბატონ გიგა ბათიაშვილს, რომელსაც აქ ქართული კულტურის ცენტრის განთავსება სურს. სწორედ ეს გადაწყვეტილება იქნება ხალხისთვის მისი ქონების დაბრუნება და ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ისტორიის სახალხოდ გაშუქება-გამომზეურება და მერე არც პრეზიდენტის კეთილი ნება დაგვჭირდება იქ შესვლისთვის და არც ბარნოვის წინასწარ დაანონსება, როდის გადავხედოთ ავლაბრის რეზიდენციის კოშკიდან ბებერი თბილისის ულამაზეს ხედებს.

მამუკა ვაშაკიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

P. S. რეზიდენციის დათვალიერებისას სულ ვფიქრობდი, მიშას აჩრდილი ხომ არ დაგვდევს ყველას და ხომ არ ხითხითებს — მე დავბრუნდები, მე დავბრუნდებიო! ამბობენ პოლტერგეისტები არ ტოვებენ თავიანთ სამფლობელოებს, ავად დაძრწიან ყოფილ სასახლეებში და მნახველთ დღესაც აშინებენო. ამიტომ ფრთხილად ვიყოთ. იქნებ გაპოლტერგეისტებულ მიშას სასახლის დატოვება არ ენებოს და რეზიდენციას უფრო მეტი ტურისტი გამოუჩნდეს და ამით მაინც შევავსოთ ბიუჯეტი?

მ. ვ.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

გიორგი მარგველაშვილი – საქართველოს ახალი პრეზიდენტი

17 ნოემბერს ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაცია გაიმართა

კვირას თბილისში საქართველოს პარლამენტის ძველი შენობის ეზოში გაიმართა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაცია, რომელმაც 27 ოქტომბერს არჩევნებში ამომრჩეველთა 62,12 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო. უფრო ადრე ახალმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სახელმწიფო სახსრების ეკონომიის მიზნით ცერემონია „არ იქნება პომპეზური“. მაგრამ ამავე დროს იქნება „საზეიმო და ლამაზი“.

წელს ინაუგურაციას ესწრებოდნენ მხოლოდ მოწვეული სტუმრები, დანარჩენ მოქალაქეებს მისთვის თვალყურის დევნება შეეძლოთ ღია ეთერში. დამსწრეთა შორის იყვნენ 35 უცხოეთის სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მათ შორის, ლიტვის – ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ დელეგაციას წარმოადგენდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დირექტორი რაჯივ შაჰი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე თომას მელია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და საერთაშორისო განვითარების ევროპისა და ევრაზიის ბიუროს სააგენტოს ხელმძღვანელი პეიჯ ალექსანდერი.

ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში აპატურაი ინაუგურაციაზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს წარმოადგენდა.

რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაციაზე არ ჩამოსულან საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის გამო, რაც გაწყდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.

„არ შემიძლია სიცრუე“

საძართველოს წინა პრეზიდენტები ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაციაზე არ ყოფილან მიუხედავად იმისა, რომ მასზე იყვნენ მიწვეულნი. შევარდნაძემ ვერ შეძლო დასწრება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სააკაშვილმა კი – პროტესტის ნიშნად. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილი უკმაყოფილოა იმით, რომ მისი პარტიის წარმომადგენლები, მათ შორის, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაშია, აგრეთვე აცხადებს პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ, ახალი ხელისუფლების განცხადების თანახმად, სააკაშვილის მმართველობის დროს აგებული პრეზიდენტის სასახლე დაკარგავს თავის სტატუსს.

„ჩემი დასწრება ინაუგურაციაზე შეუძლებელია. არ შემიძლია მოგატყუოთ, თითქოს ყველაფერი ნორმალურადაა და ყველაფერი გრძელდება ინსტიტუციონალურად“, – დაწერა ადრე სააკაშვილმა „ფეისბუკის“ სოციალურ ქსელში თავის გვერდზე.

„ეს არ არის კაპრიზი, ეს არის პირობა იმისთვის, რომ ქვეყანა უკან არ წავიდეს“, – ასე აუხსნა ჟურნალისტებს სააკაშვილის პოზიცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა 15 ნოემბერს.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის არჩევნებზე გამარჯვების შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ უარს აცხადებს, გადავიდეს რეზიდენციაში, რომელშიც პრეზიდენტი სააკაშვილი ცხოვრობდა, ვინაიდან ეს შენობა, მარგველაშვილის სიტყვებით, „აიგო ხალხის ფულით“, და შესაბამისად, მიაჩნია პოლიტიკოსს, „ის ხალხმა უნდა გამოიყენოს“.

ამ გამონათქვამმა მიხეილ სააკაშვილის მხრიდან მკვეთრი რეაქცია გამოიწვია.

„თუ არ მოგწონთ, რომ იქ იჯდა სააკაშვილი, შეგიძლიათ, შეამოწმოთ შენობა. შეგიძლიათ, განახორციელოთ სხვა მანიპულაციები, რომ გამოდევნოთ ამ სასახლიდან ჩემი სული, მაგრამ არ უნდა გამოდევნოთ ინსტიტუტი“, – თქვა საპასუხო კომენტარში სააკაშვილმა.

დღევანდელი ინაუგურაციის შემდეგ ძალაში შევიდა საქართველოს კონსტიტუციის შესწორებები, რომლებიც მიღებული იქნა 2010 წელს, რის შედეგადაც საქართველო პრეზიდენტის მოდელიდან გადადის შერეული ტიპის საპარლამენტო მოდელზე. ესე იგი, სახელისუფლებო უფლებამოსილებანი პრეზიდენტისა ამიერიდან მცირდება და მთავარი ფიგურანტები ხდებიან პრემიერ-მინისტრი და ქვეყნის პარლამენტი.

„ახალი დემოკრატიის მშენებლობა“

ფიცის დადების შემდეგ გიორგი მარგველაშვილი გამოვიდა სიტყვით, რომელშიც მადლობა გადაუხადა თავის მომხრეებს – პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და კოალიციის სხვა წევრებს, აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრიობას მისთვის გაწეული ნდობისთვის.

„ჩვენი ქვეყანა იწყებს ახალი დემოკრატიის მშენებლობას. მე მოვემსახურები და დავიცავ ყოველი ადამიანის უფლებებს მათი პოლიტიკური არჩევნებისგან დამოუკიდებლად. ჩვენი ამოცანაა, რომ ყველა ცხოვრობდეს მშვიდობიან, ერთიან, დემოკრატიულ და თავისუფალ საქართველოში. მე, როგორც მთავარსარდალი, უზრუნველვყოფ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და ქვეყანა მზად იქნება გარედან ყოველგვარი გამოწვევისთვის. მაგრამ პრიორიტეტული საქართველოსთვის იქნება ყველა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტა“– თქვა მარგველაშვილმა თავის სიტყვაში და დაგვპირდა **უზრუნველყოს ქართველ ლტოლვილთა ღირსებული დაბრუნება თავიანთ სახლებში. ამავე დროს მარგველაშვილმა მიმართა აფხაზებსა და ოსებს და მოუწოდა მათ „ერთად აშენონ დემოკრატიული სახელმწიფო“.**

ახალმა პრეზიდენტმა ასევე განაცხადა თბილისის მზადყოფნის შესახებ, მოაწესრიგოს ურთიერთობანი რუსეთთან და, ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს განზრახული აქვს, გააგრძელოს კურსი ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით, აგრეთვე ურთიერთობათა განმტკიცების კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა პარტნიორებთან.

„მიუხედავად დღევანდელი რთული ვითარებისა, ჩვენ დღეს კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას – ევროპისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის პარალელურად გავაღრმავოთ დიალოგი რუსეთთან საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, პატივი ვცეთ მის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრებისა და სუვერენიტეტის ფარგლებში, და გადავჭრათ ეს პრობლემები ურთიერთნდობის საფუძველზე“, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

ინაუგურაციის შემდეგ მარგველაშვილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა მემორიალთან მივიდა და გვირგვინით შეამკო იგი. გიორგი მარგველაშვილმა თბილისის სასტუმრო „მერიოტში“ უცხოეთის დელეგატების პატივსაცემად გამართა ოფიციალური სადილი.

ამერიკის პრეზიდენტის მილოცვა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკელი ხალხის სახელით საქართველოს ახალ პრეზიდენტს თავისი მილოცვა გამოუგზავნა.

„ეს ინაუგურაცია მოწმობს საქართველოში საპრეზიდენტო ხელისუფლების გადაცემას პირველად მშვიდობიანი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად. მხურვალედ ვულოცავ გიორგი მარგველაშვილს მისი ინაუგურაციის დღეს“, – ნათქვამია პრეზიდენტ ობამას წერილში, რომელიც გამოქვეყნდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ინტერნეტ გვერდზე.

ამერიკის პრეზიდენტის გზავნილში აღნიშნულია საქართველოს „მრავალი გამოჩენილი პოლიტიკური ლიდერის“ წვლილი, მათ შორის, მიმავალი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა, საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში. ობამას წერილის თანახმად, შეერთებული შტატები აფასებენ იმას, თუ რას მიაღწია ამ ორმა ლიდერმა თავიანთ თანამდებობებზე მოღვაწეობის დროს. ამავე დროს, ნათქვამია წერილში, ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, იმუშაოს მათ მემკვიდრეებთან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის „არსებული ძლიერი და ღრმა კავშირურთიერთობათა“ განმტკიცებისთვის.

„ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ტრანსფორმაციის პერიოდში მოვუწოდებ საქართველოს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, რომ იმუშაონ ერთად და განაგრძონ მუშაობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასთან უკვე არსებულ მიღწევათა განვითარებისთვის“, – ნათქვამია ამერიკის პრეზიდენტის განცხადებაში.

„ახალი ეპოქა“

საძართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ამჟამინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მიულოცა ქართველ ხალხს „ახალი ეპოქის“ დასაწყისი.

„საქართველოში დაიწყო ახალი ეპოქა, დამთავრდა ავტორიტარული რეჟიმის დრო, რომელიც ძალადობასა და სიცრუეს ემყარებოდა. საქართველოში დღევანდელი ინაუგურაციის შემდეგ ჭეშმარიტი დემოკრატია მოვიდა. ჩვენ გვყავს ჭეშმარიტად დემოკრატიული პრეზიდენტი, და საქართველოს ეყოლება ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობა“, – განუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს.

შეგახსენებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი საკუთარი ინიციატივით უნდა გადადგეს 24 ნოემბერს. ივანიშვილმა უკვე დაასახელა თავისი მემკვიდრე – ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც მის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ტოკიოში გვთავაზობენ, ვიყიდოთ საახალწლო ნაძვის ხე სუფთა ოქროსგან 5 მილიონ დოლარად

2,4 მეტრის სიმაღლის ნაძვის ხის დამზადებაზე დაიხარჯა დაახლოებით 43 კილოგრამი ძვირფასი ლითონი. საახალწლო ხეს ამშვენებს სათამაშოები მიკი მაუსის, მისი დობილის მინისა და დონალდ დატის გამოსახულებით, რომლებიც საჰაერო ბურთზე ფრინავენ. საიუვილერო კომპანიამ მოხსნა შარშანდელი საკუთარი რეკორდი, თუმცა აბსოლუტურ რეკორდებამდე ჯერ კიდევ შორსაა.

* * *

ათობით ქლიერმა ტორნადომ გადაუარა აშშ შუა დასავლეთს: არიან დაღუპულები, ბევრია დაჭრილი

ყველაზე მეტად დაზარალდა ილინოისის შტატი, სადაც სტიქიის ძირითადი დარტყმა ქალაქ ვაშინგტონს მიადგა, რომლის მოსახლეობაც 15 ათასი კაცია. ათობით სახლი დანგრეულია მთლიანად, რეგიონში ასობით ათასი კაცი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ჩიკაგოში მუშაობა შეწყვიტა ორმა უდიდესმა აეროპორტმა. მეტეოროლოგები გვაფრთხილებენ: ეს შეიძლება მხოლოდ დასაწყისი იყოს.

* * *

იაპონიამ კვლავ აიძვანა ცაში გამანადგურებლები რუსული თვითმფრინავების გამო

ორმა ბომბდამშენმატუ-95 შეასრულა გაფრენა იაპონიის არქიპელაგის გასწვრივ წყნარ ოკეანეში კუნძულ ოკინავას მხრიდან კუნძულ ჰოკაიდოს მიმართულებით. იაპონიის თვითდაცვის ძალების გაერთიანებული შტაბის სტატისტიკით, ივლისიდან სექტემბრამდე იაპონიის თვითდაცვის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლები 105-ჯერ აიჭრნენ ცაში განგაშის ხმაზე რუსული თვითმფრინავების გამოჩენის გამო.

* * *

დამასკოს გარეუბანში აფეთქების დროს 31 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, 3 გენერალი დაიღუპა

ბოევიკებმა ასაფეთქებელი მოწყობილობა სირიის შეიარაღებული ძალების ზურგის სამმართველოს შენობის ქვეშ ჩადეს დედაქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში. ტერორისტული აქტი მოხდა ერთი დღე-ღამის მერე მას შემდეგ, რაც სამხედრო სარდლობამ ხარასტის რაიონი უსაფრთხოდ გამოაცხადა. პასუხისმგებლობა ტერაქტზე იკისრა ერთ-ერთმა დაჯგუფებამ, რომელიც სირიის თავისუფალ არმიაში შედის.

◎ შეეშალათ?!

სავალუტო ფონდი – ნაციონალების გავლენის ქვეშ?

წინა ხელისუფლება სავალუტო ფონდის ნებისმიერ მითითებასა თუ რეკომენდაციას ითვალისწინებდა, რადგანაც, სპეციალისტების მოსაზრებით, ვითომ პრემიერ გილაურსა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების მინისტრ ვერონიკა მეპურეს თავიანთი არც იდეები გააჩნდათ და არც პროფესიონალთა გუნდი ჰყავდათ გარშემოკრებილი. ამიტომაც იყო, რომ მთავრობას მთელი ეკონომიკური გუნდი კუდის ქიცინით შეჰყურებდა როგორც სავალუტო ფონდის ემისრებს, ასევე ამ ორგანიზაციის თითოეულ ვიზიტორს. უცხოელებიც შეჩვეულნი იყვნენ ჩვენებურების მონურ საქციელს. სამაგიეროდ კი ნაცების ხელისუფლება უხვად ღებულობდა ფონდიდან გრძელვადიან კრედიტებს, რომელთა საურავი და მთლიანი თანხა ჩვენი შვილებისა და, შესაძლოა, შვილიშვილების გადასახდელი შეიქმნას. ხოლო ის, თუ სად მიდიოდა საერთაშორისო ორგანიზაციის ნაწყალობევი ფული, უცნობია.

ცოტა ხნის წინათ სავალუტო ფონდმა საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელთან თავისეული პროგნოზი გააკეთა, რომლის მიხედვითაც 2013 წელს ჩვენში უმუშევრობის დონე შარშანდელთან შედარებით 1,7 პროცენტით გაიზარდა და 16,7 პროცენტს მიაღწია. მომავლის პროგნოზით კი საერთო მაჩვენებელი 17,3 პროცენტს მიაღწევს.

სავალუტო ფონდის (სსფ) პროგნოზმა საქართველოს მთავრობაში უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც უმალ მოჰყვა მწვავე რეაქციები. ფინანსთა მინისტრმა პროგნოზს წარმოუდგენელი უწოდა. მისი გაკვირვება გამოიწვია ფონდის ვარაუდმა დასაქმებასთან დაკავშირებით. მათ ამ საკითხებზე საერთოდ არ ჰქონიათ კომუნიკაცია საქართველოს მთავრობასთან და ფინანსთა სამინისტროსთან, აცხადებს ნოდარ ხადური და იქვე დასძენს, რომ მთავრობა მუშაობდა პროგნოზზე, მაგრამ არანაირი ფაქტობრივი მონაცემი არ ადასტურებს იმას, რომ შესაძლებელია რაიმე პრობლემა შეგვქმნოდა, – ამტკიცებს ქვეყნის №1 ფინანსისტი.

პროგნოზით უკმაყოფილოა საქართველოს შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროც. მინისტრის მოადგილის კახა საკანდელიძის თქმით, მისთვის გაუგებარია, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით ავრცელებს სსფ ამგვარ დასკვნებს. აგროსესხებმა, მრავალმა ახალმა პროექტმა მნიშვნელოვნად გაზარდა თვითდასაქმებულთა რაოდენობა. ნოემბრიდან, შესაბამისი სამინისტროები აპირებენ ბაზრის შესწავლას, რის პარალელურადაც მოხდება ბაზრისთვის კვალიფიციური კადრების მიწოდება, აცხადებს საკანდელიძე.

მუდმივ მონურ მდგომარეობაში მყოფი და სავალუტო ფონდის ვალებში ყელამდე ჩაფლული ქვეყნის ასეთი შემოტევა მოულოდნელი აღმოჩნდა სსფ-ისთვის. მან უკან დაიხია. ფონდმა ფინანსთა მინისტრის კრიტიკა ნაწილობრივ გაიზიარა. მათ განაცხადეს, რომ საპროგნოზო მაჩვენებლების დახვეწისათვის მზად არიან. სსფ-ს მუდმივმა წარმომადგენელმა საქართველოში აზიმ სადიკოვმა თქვა, რომ 2013 წლის ბოლოსთვის უმუშევრობის სურათი თვალნათელი იქნება, ისევე როგორც მთლიანი შიდა პროდუქციის სტატისტიკა. უმუშევრობის პროგნოზირებასთან დაკავშირებით კი სადიკოვმა აღიარა, რომ ამგვარი პროგნოზის გაკეთება ძალიან ძნელია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც კი.

ექსპერტი ეკონომიკისა და სოციალურ საკითხებში ნოდარ კაპანაძე ამბობს, რომ ის პროგნოზი, რომელიც სავალუტო ფონდმა რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა და სადაც სწორედ უმუშევრობის დონის მატებაზე იყო საუბარი, საკმაოდ პესიმისტური იყო. არადა, რეალობა ამგვარ სურათს ნამდვილად არ გვიხატავს, რაც შეეხება მათ ბოლოდროინდელ განცხადებას, რომ გადახედავენ საკუთარ პროგნოზს, კაპანაძეს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს, რომლითაც ცხადი ხდება პროგნოზის არაარგუმენტირებულობა. ამ შემთხვევაში არგუმენტირებული გამოდგა მთავრობის პოზიცია, რაშიც მას ქართველი ექსპერტიც ეთანხმება. ჩვენ ახლა ოპტიმიზმის უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვიდრე ერთი წლის წინათ გვქონდა, – ამტკიცებს ექსპერტი ეკონომიკისა და სოციალურ საკითხებში ნოდარ კაპანაძე.

ექსპერტთა, სპეციალისტთა და საქმეში ჩახედულ ადამიანთა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ სსფ-ს ინფორმაცია „ნაცების“ ეკონომიკური გუნდის (თუ ჰყავთ ასეთი) „მამებმა“ მიაწოდეს. სავალუტო ფონდის წარმომადგენლებიც ბრმად, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ენდნენ (შეიძლება, შეგნებულადაც მოხდა) თავიანთ ყოფილ ვასალებს, მაგრამ ჩვენი მთავრობის პრინციპული პოზიციის გამო უკან დახევა მოუწიათ.

ამ შემთხვევაში იდეის ავტორები იმით ხელმძღვანელობენ, რომ სსფ-ს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები თითქმის სრულად ემთხვევა ნაციონალების მიერ წარმოდგენილს. მაგრამ, როგორც ჩანს, ასკვნიან ექსპერტები და სპეციალისტები, ამ ცრუ ინფორმაციის მიწოდებით მათ სსფ-სთან მისასვლელი ყველა გზა გადაიჭრეს. ხუმრობა ხომ არ არის, ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, როგორიც საერთაშორისო სავალუტო ფონდია, არაარგუმენტირებული კვლევების შედეგად გაკეთებული პროგნოზის გამო უკან დაიხია და მათი დახვეწისათვის მზაობა გამოხატა.

ზაზა ბილიხოძე

◎ ალიან-ჩალიანი

რა უფლებამოსილებები აქვს გიორგი მარგველაშვილს?

კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი პრეზიდენტის იმ უფლებამოსილებებს განმარტავს, რასაც მას კონსტიტუციის ახალი რედაქცია ანიჭებს. აღნიშნულთან დაკავშირებით დემეტრაშვილმა ჟურნალისტებთან დღევანდელ შეხვედრაზე ისაუბრა.

— პრეზიდენტის ინაუგურაციისა და მის მიერ ფიცის დადების მომენტიდან ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია — არა ახალი კონსტიტუცია, არამედ შეიცვალა კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც ძირითადად ეხება ინსტიტუციურ სამეფულს — პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც ახალი რედაქციით განხორციელდა, არის პრეზიდენტის როლი ახალ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში. დღემდე არსებული რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტი რეალურად ხელისუფლების წყარო იყო, მას ჰქონდა კონკრეტული საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილებები, იგი გადამწყვეტი ფიგურა იყო სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირებასა და ფორმირებაში — დომინანტური როლი ჰქონდა, წამყვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ახალი რედაქციით, ეს ყველაფერი იცვლება და პრეზიდენტს აღარ აქვს აქტიური საკანონმდებლო უფლებამოსილებები, მას აღარ აქვს საკანონმდებლო ინიციატივების უფლება, შესაბამისად, აღარ აქვს უფლება, მოსთხოვოს პარლამენტს მისი კანონპროექტების რიგგარეშე განხილვა. მას აღარ აქვს უფლება, მოიწვიოს პარლამენტის რიგგარეშე სესია ან სხდომა და იქ გაიტანოს თავისი საკითხი განსახილველად, ანუ მას აღარ აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს პარლამენტის დღის წესრიგის მონოპოლიზება. მაგრამ, ამავდროულად, უნდა დავიცვათ თავი მეორე უკიდურესობისგან და არ უნდა ვამტკიცოთ, რომ პრეზიდენტი აბსოლუტურად უსუსური ხდება — მხოლოდ სიმბოლურ ფიგურად წარმოგვიჩნდება და მას წითელი ლენტების ჭრისა და ცერემონიალური ფუნქციების განხორციელება რჩება. ეს ასე არ არის, პრეზიდენტს არ აქვს საკანონმდებლო ინიციატივების შესაძლებლობა, მაგრამ მას გააჩნია ვეტოს უფლება. ვეტოს უფლების გამოყენებით მას შეუძლია გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს პარლამენტის საქმიანობაზე, თუმცა, დღევანდელ კონფიგურაციაში ამის საჭიროება ალბათ არ იქნება, ვინაიდან პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა ერთი პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები არიან. მას აღარ შეუძლია მთავრობის გადაყენება, აღარ აქვს უფლება, შეცვალოს სამი ძალოვანი მინისტრი და იუსტიციის მინისტრი, რისი უფლებაც აქამდე ჰქონდა, მას არ შეუძლია, კურატორობა გაუწიოს სამინისტროთა საქმიანობას, არ შეუძლია, გააუქმოს მთავრობის აქტები, მაგრამ შეუძლია, მოითხოვოს მთავრობის სხდომის მოწვევა და მასზე განხილულ იქნას მის მიერ დასმული საკითხი, შეუძლია სხდომაში თვითონ მიიღოს მონაწილეობა და მასთან ერთად იყვნენ უშიშროების საბჭოს წევრებიც. გარდა ამისა, პრეზიდენტს გააჩნია სხვა უფლებამოსილებებიც, მას პირობითად სამეფო უფლებამოსილებებს უწოდებენ და მიმაჩნია, რომ მათი შეზღუდვის მცდელობას, რასაც ახლა ადგილი აქვს (გარკვეული მინიშნებები კეთდება), არ იქნება სწორი. რა არის ეს უფლებამოსილებები? — ეს არის შეწყალების უფლება, მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტის უფლება, ეს არის სპეციალური წოდებების, სპეციალური დიპლომატიური რანგების, ჯილდოების მინიჭების, არჩევნების დანიშვნის უფლება და სხვა. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საპარლამენტო რესპუბლიკისკენ, მაგრამ არის ისეთი ნიშნები, რომელიც არ არის დამახასიათებელი საპარლამენტო რესპუბლიკისთვის. ეს არის, მაგალითად, პირდაპირი წესით პრეზიდენტის არჩევა, მისი აქტიური მონაწილეობა საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის შერეული მმართველობის სისტემა, რომელშიც უფრო მეტი საპარლამენტო ელემენტია, ვიდრე საპრეზიდენტო ელემენტი, — განაცხადა ავთანდილ დემეტრაშვილმა.

ივანიშვილი ახალი მთავრობისთვის ნდობის გამოცხადებამდე თანამდებობაზე რჩება

ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებამდე იქნება. ამის შესახებ კონსტიტუციონალისტმა, ავთანდილ დემეტრაშვილმა განაცხადა. მისივე განმარტებით, კოალიციის მიერ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის პრეზიდენტისთვის წარდგენის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილს ახალი მთავრობის შექმნა და ფორმირება დაევალება, თუმცა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი არ ხდება. ამასთან, დემეტრაშვილმა მთავრობის ფორმირების საკითხზე ისაუბრა.

— კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით, პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან მთავრობას მოეხსნა უფლებამოსილება და გუშინვე ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მასვე მოვალეობის შესრულება დაავალა. ანუ დღეს ჩვენ გვყავს მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა ივანიშვილის მთავრობა. შემდეგი პროცედურა არის უკვე პარლამენტში არჩეული საუკეთესო საარჩევნო სუბიექტის, ანუ კოალიცია „ქართული ოცნების„ მიერ პრეზიდენტისთვის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წარდგენა. ამისთვის კანონით 7-დღიანი ვადაა გათვალისწინებული. წარდგენის შემდეგ პრეზიდენტი დაავალებს მას ახალი მთავრობის შექმნას და ჩამოყალიბებას, რისთვისაც მასაც 7-დღიანი ვადა აქვს. სწორედ ამის შემდეგ მივა პარლამენტში ნდობის მისაღებად. პარლამენტი ასევე 7 დღის ვადაში ან გამოუცხადებს ნდობას, ან უარს ეტყვის ნდობის გამოცხადებაზე, რაც დღევანდელი კონფიგურაციით გამორიცხულია. ახალი მთავრობის დამტკიცებამდე პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა ივანიშვილი იქნება, — განაცხადა დემეტრაშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნული პროცედურის დაჩქარებულ ვადაში გავლა კანონით დასაშვებია.

ინტერპრესი

◎ გამოიცა

სახელმძღვანელო მომავალი ექიმებისა და სამაგიდო წიგნი პრაქტიკოსი პედიატრებისთვის

უდავოა ის ფაქტი, რომ პედიატრთა მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად აუცილებელია სტუდენტებმა ისწავლონ ფუნდამენტურ, საერთაშორისო, სამამულო კლინიკური მედიცინის და თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით შეზავებულ მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოებით.



პედიატრიის სასწავლო კურსი უნდა ეყრდნობოდეს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა (WMEF) და ბოლონიის დეკლარაციის რეკომენდაციებს, რომელიც გვთავაზობს ევროპული უმაღლესი განათლების მოდელს ნაციონალური განათლების სისტემის სპეციფიკისა და ტრადიციების გათვალისწინებით. ამ მოდელის შესაბამისია უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული სახელმძღვანელო პედიატრიაში. წიგნის „პედიატრია“ I ტომი დაიბეჭდა 2011 წელს, ამჟამად, ავტორებმა ნინო მანჯავიძემ, გიული მეგრელიშვილმა გამოსცეს ამ არაჩვეულებრივი სახელმძღვანელოს II ტომი, რომელიც მომავალ ექიმს აძლევს ამომწურავ ცოდნას ბავშვის ორგანიზმის განვითარების კანონზომიერებების, ბავშვთა დაავადებების მიზეზების, დიაგნოსტიკის მეთოდების, მკურნალობისა და პრევენციის პრინციპების შესახებ. ყოველივე ეს არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და ეფუძნება მტკიცებულებებს. პედიატრიის II ტომი მეტად მოცულობითია და მასში სრულადაა გაშუქებული კლინიკური გენეტიკის ზოგადი და კერძო საკითხები, რომელთა ცოდნის გარეშეც პრევენციული პედიატრიის განვითარება შეუძლებელია, ხოლო მისი ცოდნა მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქებს იმ „გენეტიკურ ტვირთს“, რომელიც ქართული გენოფონდის გაჯანსაღების ქვაკუთხედია. ნაშრომში დეტალურადაა გაშუქებული რესპირაციული, გულ-სისხლძარღვთა და სისხლის სისტემები, ალერგია და ალერგიული დაავადებები, რევმატიული დაავადებები ბავშვებში, ნერვული და ენდოკრინული სისტემები თავისი ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურებებით და ბავშვთა ასაკისათვის მნიშვნელოვანი პათოლოგიებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წიგნი დაწერილია კარგი ქართულით და ადვილად იკითხება. ყველა ზემოაღნიშნულ ღირსებებთან ერთად, განსაკუთრებით სასიამოვნოა წიგნის მიმზიდველი დიზაინი, შესანიშნავი ფოტომასალა, გრაფიკები და ცხრილები, რომლებიც ამდიდრებენ და გაცილებით დამაჯერებელს ხდიან სახელმძღვანელოში მოყვანილ მასალას.

სწორედ ამიტომ, ვთვლი, რომ იგი არა მარტო შესანიშნავი სახელმძღვანელოა სტუდენტებისთვის, არამედ სამაგიდო წიგნი გახდება პრაქტიკოსი პედიატრებისათვის და სხვადასხვა პროფილის ექიმებისათვისაც.

რუსუდან ქარსელაძე,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

◎ კრივი

ოთხი მედალი და გუნდური მესამე



ანაპაში დასრულებულ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის პირველობაზე ქართველმა სპორტსმენებმა (მწვრთნელი კუკური შავგულიძე) სხვადასხვა სინჯის ოთხი ჯილდო მოიპოვეს.

46 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ჩარგაზიამ ნახევარფინალური პაექრობა აზერბაიჯანელ რუფათ ჰუსეინოვთან დათმო და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მსგავს წარმატებას მიაღწია 52 კილოში უჩა მაისურაძემ, რომელმაც ნახევარფინალი რუსეთელ ტემირლან ხანგიჩიევთან წააგო..

გასულ უქმეებზე კიდევ ორმა ქართველმა მოკრივემ გამოიჩინა თავი. განსაკუთრებით გიორგი ხარაბაძემ (66 კგ, პირადი მწვრთნელი ანატოლი ცქიფურიშვილი) იყოჩაღა. ნახევარფინალში მან იტალიელ ფილიპო გრესანის აჯობა, ფინალში კი უკრაინელი სტეპან გრეკული ჩამოიშორა გზიდან (3:0) და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

74 კილოში რატი ტლაშაძე გამოდიოდა. მან ნახევარფინალში რუსი ანდრეი პანკოვი დაჯაბნა, თუმცა. გადამწყვეტი პაექრობა ფრანგ ლუი ტოტისთან დათმო. სულ ანაპაში მედლების 13 კომპლექტი გათამაშდა. 13 მედალი (6 ოქრო, 3 ვერცხლი, 4 ბრინჯაო) რუსებმა მოიხვეჭეს. ერთი ოქროთი და ორი ვერცხლით მეორე გუნდური ადგილი ირლანდიას ხვდა, რომელიც შეჯიბრებაში 11 სპორტსმენით ჩაება. 4 მედლით (1 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) გუნდური მესამე ადგილი საქართველოს ცხრაკაციანმა ნაკრებმა დაიკავა.

ლექსო ციცაძე

◎ ჭადრაკი

კვარცხლბეკს მიღმა

დამთავრდა მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელსაც ვარშავამ უმასპინძლა. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები, სამწუხაროდ, უმედლოდ დარჩნენ. საქართველოს ქალთა ნაკრებმა მე-8 ტურის პრინციპული მატჩი რუსეთის ეროვნულ გუნდთან 1:3 წააგო (ვალენტინა გუნინა-**ნანა ძაგნიძე** 0,5:0,5, **მერი არაბიძე**-ალექსანდრა კოსტენიუკი 0:1, ნატალია პოგონინა-**ბელა ხოტენაშვილი** 1:0, **ლელა ჯავახიშვილი**-ოლგა გირია 0,5:0,5) და ჯილდოებისთვის მებრძოლთა რიგებს ჩამოშორდა. მართალია, ჩვენებმა ბოლო ტურში ჰოლანდიელებს 4:0 აჯობეს, მაგრამ ეს უფრო კარის გაჯახუნებას ჰგავდა, რადგან საქართველოს ქალთა ნაკრებმა 12 ქულით მხოლოდ მე-4 ადგილი დაიკავა. მსოფლიოს ჩემპიონმა უკრაინის ნაკრებმა შაბათს სომხეთს აჯობა 3:1 და 15 ქულით ევროპის ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდა, ბოლო ტურში რუსებთან დამარცხებით კი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების წისქვილზე მიუშვა წყალი – რუსებმა 14 ქულით ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილზე პოლონელები გავიდნენ.

საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ათი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენი ბიჭები მიზანთან ახლაც ახლოს იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ 12 ქულით მე-6 ადგილს ვერ ასცდნენ. 14 ქულით ჩემპიონობა აზერბაიჯანელებმა მოიპოვეს, 13-13 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები ფრანგებმა და რუსებმა გაინაწილეს.

ვაჟა ნოსირელი

◎ ბატუტზე ხტომა

ოქროს დუეტი

სოფიაში დამთავრდა ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ასპარეზობის ბოლო დღეს 15-16-წლიანთა სინქრონულ ხტომებში თეონა ჯანჯღავამ და ანა ოდიშვილმა ჩემპიონობა მოიპოვეს. საკვალიფიკაციო ეტაპიდან ისინი 41.800 ქულით მეოთხენი შევიდნენ ფინალში, იქ კი სხვებზე უკეთ იასპარეზეს და 44.500 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. გამარჯვებულებს 1.400-1.400 ქულით ჩამორჩნენ მონა ვეილერი, ფილის ლენსკერი (ორივე-გერმანია) და ვალერია კირილენკო, მარია შილოვა (ორივე-რუსეთი), რომლებიც მეორე ადგილებზე გავიდნენ და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ. ამავე ასაკში ანა ოდიშვილმა ინდივიდუალურ ხტომებში 49.165 ქულით მე-5 ადგილი დაიკავა – ბრინჯაოს მედლამდე 0.8 ქულა არ ეყო.

გივი გაგუა

სურათზე: წინა პლანზე ანა ოდიშვილი (მარცხნივ) და თეონა ჯანჯღავა.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ჩოგბურთი

ფინალები დათმეს

ანტალიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) კარგად იასპარეზა ეკატერინე გორგოძემ, რომელიც მესამე ნომრად იყო განთესილი. ქართველმა ჩოგბურთელმა ზედიზედ სძლია თურქ გიზემ მელისა ატესს (6:2, 6:4), სლოვაკ ვიქტორია კუზმოვას (7:5, 2:6, 6:1), იაპონელ იოშიმი კავასაკის (6:3, 6:4), ჰოლანდიელ მონიკა ზუურს (6:2, 6:2) და ფინალში ანა ბოგდანს (რუმინეთი) დაუპირისპირდა. ტურნირის რეიტინგფავორიტმა ჩვენებურს ორივე სეტი დაძაბულ ბრძოლაში მოუგო – 7:6, 7:6 და მთავარი პრიზი დაიმსახურა, გორგოძემ კი მეორე ადგილი დაიკავა.

ასევე მეორე იყო ანტალიაშივე გამართულ ვაჟთა 10.000-იან ტურნირში თბილისელი ნიკოლოზ ბასილაშვილი. მანაც ოთხ მეტოქეს აჯობა – რუს ანდრეი პლოტნის (7:6, 6:4), რუმინელ დრაგოშ დიმას (6:4, 6:2), ჰოლანდიელ კოლინ ვან ბეემს (0:6, 6:3, 7:6) და რუმინელ ტეოდორ კრაკიუნს (6:0, 6:2), ფინალი კი ავსტრიელ მარკ რადისთან წააგო – 1:6, 3:6. ბასილაშვილმა წყვილებშიც მეორე ადგილი დაიკავა.

ლაშა დიდია

ჩეხეთი – ზედიზედ მეორედ

ჩეხეთის საჩოგბურთო ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიგო დევისის თასი. ეს მას შემდეგ გაცხადდა, რაც ბელგრადში მიმდინარე ფინალური მატჩის დასკვნით შეხვედრაში რადეკ შტეპანეკმა სერბ დუშან ლაიოვიჩს 6:3, 6:1, 6:1 მოუგო და საბოლოო ანგარიშიც დაიფიქსირა – 3:2 მოქმედი ჩემპიონის ჩეხეთის სასარგებლოდ.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელ ფინალში ჩეხებმა რაფა ნადალის გარეშე მოასპარეზე ესპანეთს სძლიეს, 1980 წელს დევისის თასს ჩეხთა და სლოვაკთა გაერთიანებული ნაკრები დაეუფლა, სერბებმა კი ეს მეტად პრესტიჟული სანაკრებო შეჯიბრება 2010 წელს მოიგეს.

დღის პირველ მატჩში ნოვაკ ჯოკოვიჩმა ტომაშ ბერდიხს 6:4, 7:6, 6:2 მოუგო და ანგარიში გააყაიმა. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ნოლემ“ განაცხადა, ბერდიხის დამარცხება ჩემთვის არაფერს ნიშნავს, თუკი თასს ვერ მოვიგებთო. საბოლოოდ ჩეხებმა იმარჯვეს და ძნელი წარმოსადგენი არაა, როგორ დასწყდა გული ჯოკოვიჩს – მან ხომ ერთეულთა თანრიგის ორივე შეხვედრა სეტის წაუგებლად მოიგო. ნოვაკმა ზედიზედ 24-ე მატჩი მოიგო – მას აშშ-ის ღია პირველობის შემდეგ შეხვედრა არ წაუგია.

დავძენთ, რომ დევისის თასი ყველაზე მეტჯერ აშშ–მ (32) და ავსტრალიამ (29) მოიგეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

ფეტელმა ახალი რეკორდი დაამყარა

ოსტინის რბოლაზე სალაპარაკო მხოლოდ ისაა, რომ სებასტიან ფეტელმა ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა. და ისიც, რომ თუ ბრაზილიაშიც მოიგებს, ალბერტო ასკარის რეკორდს გაიმეორებს – ზედიზედ მოგებული ცხრა რბოლით. მაგრამ ასკარიმ ამას ორი სეზონის ჯამში მიაღწია.

თავად რბოლას რაც შეეხება, მასში საინტერესო ბევრი არაფერი ყოფილა გარდა იმისა, რომ სტარტზე რომენ გროჟანმა შეძლო მარკ ვებერის ჩამოტოვება, რბოლის მიწურულს კი, კერძოდ ბოლო წრეზე, ფერნანდო ალონსომ, როგორც იქნა, ნიკო ჰულკენბერგს გაასწრო, რომელიც, ბედის ირონიით, მომავალ სეზონში შეიძლება პელოტონში ვერ ვიხილოთ, ან რომელიმე აუტსაიდერი გუნდის მანქანის საჭეს მიუჯდეს. ჰულკი თავადვე აღიარებს, რომ „ლოტუსში“ გადასვლის შანსი შეუმცირდა და აღარც „ზაუბერში“ დარჩენა გამოუვა.

ამჯერად ფეტელს დიდი უპირატესობით არ მოუგია. მან ფინიშთან მხოლოდ 6 წამით მიასწრო გროჟანს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მთელი რბოლის განმავლობაში ფეტელს კონკურენტი არ ჰყოლია. მოკლედ, ამ სეზონში მე-12 რბოლა მოიგო და ერთიღა აკლია, რომ ლეგენდარული თანამემამულის მიხაელ შუმახერის მიღწევა გაიმეოროს. ამერიკაში გამარჯვებით კი შუმახერისავე მიღწევა გადაფარა - შუმის ერთ სეზონში ზედიზედ შვიდი გამარჯვება აქვს მოპოვებული.

„სიტყვები არ მყოფნის, ეს დღეები დაუვიწყარია. არ არსებობს იმის გარანტია, რომ ყოველთვის ასე იქნება“, – ამ სიტყვებით მიმართა რადიოთი ფეტელმა ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ ქომაგებს. გერმანელმა ოსტინის ტრეკზე პირველი გამარჯვება მოიპოვა. სხვათა შორის, კვალიფიკაციაში გამარჯვებასთან ერთად „რედ ბულმა“ კიდევ ერთი რამ აღნიშნა – თავისი შეფის კრისტიან ჰორნერის 40 წლის იუბილე.

აშშ-ის დიდი პრიზი

ოსტინი, დისტანცია 308.405 კმ (5.513 კმ, 56 წრე)

1. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბული) 1:39:17.148,
2. რომენ გროჟანი (საფრანგეთი, ლოტუსი) (00:06.284,
3. მარკ ვებერი (ავსტრალია, რედ ბული) 00:08.396,
4. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მერსედესი) 00:27.358,
5. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფერარი) 00:29.592.

მრბოლთა კლასიფიკაცია

1. სებასტიან ფეტელი – 372 ქულა; 2. ფერნანდო ალონსო –- 227; 3. ლუის ჰამილტონი – 187; 4. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ლოტუსი) – 183; 5. მარკ ვებერი – 181

კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბულ-რენო – 553 ქულა; 2. მერსედესი – 348; 3. ფერარი – 333; 4. ლოტუს-რენო – 315; 5. მაკლარენ-მერსედესი –102.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ფეხბურთი

ფედერაციის პრეზიდენტი ნაკრებს შეხვდა

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოელ ლე გრე ეროვნული გუნდის ფეხბურთელებს შეხვდა და მათთან მკაცრი საუბარი გამართა.

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პლეი ოფის საპასუხო მატჩის წინ ლე გრე ეროვნული გუნდის ბაზას ეწვია და მოთამაშეებს გაესაუბრა.

პირველ მატჩში კიევში უკრაინასთან 0:2 მარცხის შემდეგ პრეზიდენტმა მოთამაშეებს განწყობა და თავდადება დაუწუნა. მან ფეხბურთელებს სთხოვა, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს და მათ თავგანწირული მოქმედებისკენ მოუწოდა.

დღეს: საფრანგეთი – უკრაინა (0:2), შვედეთი – პორტუგალია (0:1), ხორვატეთი – ისლანდია (0:0), რუმინეთი – საბერძნეთი (1:3).

გიორგი ზოთაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

სალიბური ფოლადივით გამძლე...

ეს სიმტკიცე რომ არ ჰქონოდა, რას გაძლებდა თავისი ცხოვრების ენითუთქმელ ორომტრიალში?! დიახაც, მტკიცე იყო, გამძლე იყო, სულ სტრიქონ-სტრიქონ დაგვიწატა ყოველივე, თავის, შეიძლება ითქვას, ავტობიოგრაფიულ უკვდავ ნაწარმოებებში.

იგი ჩვენი დათა თუთაშხიაა, სამაგალითო ზნეობის მატარებელი რაინდული სულის კაცი, იგი ჩვენი გორა მბორგალია — უამრავი განსაცდელის გადამტანი და კვლავაც უარესის მომლოდინე, იგი სამშობლოს ერთიანობისთვის აფხაზეთში გმირულად დაღუპული ირაკლი ამირეჯიბის ამაყი მამაა, იგი — ერთ დროს მწევარივით ტანაწვართული, „ქორებულ მხედველი“ — დღეს კი ავადმყოფი — უზომოდ მადლიერი რომაა მეუღლისა, ჩვენთა ძველთა დედათა სადარ ქალბატონ თამარ ჯავახიშვილისა, იგი — რუსთაველის ავთანდილივით, ერთთავად გულანთებული მეგობარი რომ დარჩა, რაც ბევრს შეუგრძვნია ბატონი ჭაბუასგან... შემიგრძვნია მეც — მის უმცროს ძმას და მეგობარს (ასე თვლის თვითონ), როდესაც, თითქმის 45 წლის წინათ, სრულიად ახალგაზრდა ჟურნალისტი, თავისთან, კინოინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროში მიმიწვია და ზრუნვა-ამაგი არ დაუკლია ჩემთვის...

აბა, როგორ არ ვიამაყო ამით?!

გუშინ თქვენი დაბადების დღე იყო, სამშობლოს ბედით გულდამწვარო სამაგალითო ქართველო!... დაგელოცოთ ფოლადივით მტკიცე ჯიში და ცხოვრების ჭირ-ვარამის წინაშე გაძლების უნარი, ბატონო ჭაბუა!

„ნააზრევი“ დორეულის, მდარეა და „მდორეული...“

ასეთი სტილით (წერის სტილით) „მოაზროვნენი“ როგორ არ გვინახავს, როგორ არ წაგვიკითხავს მათი „წიგნიერების“, მათი „განათლების“ გამონაშუქი — ჩვენს მადლიან ქართულ სიტყვას ჩანაცვლებული უცხო სიტყვების კაკაფონია, რასაც მხოლოდღა ერთადერთი მიზანი აქვს — მკითხველი გააბრუოს, ვითომ, „მაღალინტელექტუალური“ წიაღსვლებით, უცხოელ ავტორთა ჭარბი მოხმობით ლიტერატურის, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნების, მუსიკის... საკითხებზე მსჯელობისას... გვინახავს და, რა გასაკვირია, მიმდევრები დღესაც ჰყავს ამ სტილსა და ხელწერას... სხვა რა გზა აქვთ, „ღვთაებრივი უბრალოება“, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრია, არადა, „წერას“ ჰყავს ეს ხალხი ატანილი, „ინტელექტი“ მოსძალებიათ და კიდევაც არის მათ „ნაშრომებში“ ატეხილი უცხო სიტყვათა გაუთავებელი „მიდი-მოდი“.

მათ რიცხვში, ჩემი აზრით, ლიდერის პოზიციას იჭერს ერთი ვინმე **ლექსო დორეული,** რომელიც გასული პარასკევის (15-28 ნოემბერი) **„ლიტერატურულ გაზეთში“** ტარიელ ჭანტურიას პოეზიის თავისებურებებზე საუბრობს, ოღონდ, ამ საუბრისას, ძალიან ძნელია გაიგოთ, რისი თქმა სურს ავტორს. არა, ის გასაგებია, რომ დორეული აქებს და ადიდებს ტარიელ ჭანტურიას გამორჩეულ ხმას, აბსოლუტურ თავისთავადობას და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ, ცოტა ნათლად და გასაგებად რომ ესაუბრო ამის შესახებ ჩემსავით „უცხოსიტყვებუცოდინარ“ მკითხველს, პატივცემულო დორეულო, ვითომ, მართლა ასე გიჭირს?! რა ვქნა, ძამიკო, მე ერთი საშუალო მკითხველი ვარ და, ვინც აქედან აზრს გამოიტანს, ღმერთმა ხელი მოუმართოს: **„ტექსტის წინაარსებობის ეს ფორმა რაციონალობის მიღმა მყოფი, უსწრებს ნიშნის ფენომენოლოგიური შესაძლებლობის კონცეპტს და, შესაბამისად, არსებობის ლოგიკასაც, მასში ერთადერთი მოცემულია ენის აპრიორიტულობის ლოგიკის თანაგანცდა, რომელიც შემდეგ მონაწილეობს გამოთქმის სუბსტანციის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, ინახავს და იცავს კავშირს იდეალობასა და აწმყოს დასწრებულობას შორის. როგორ ხორციელდება ეს პროცესი? რა თქმა უნდა, ამისა და ინდექსის მეშვეობით, რომელთაგან პირველი საგანთა სიმულაციების არქივია, ხოლო მეორე ქმნის არატრადიციულ გაორებას აღსანიშნსა და აღნიშნულს შორის“.**

თქვენ გაიგეთ, ძვირფასო მკითხველო? მე, პირადად, ლექსიკონი დამჭირდა, ჰოდა, ამ გასაჭირში რომ ვარ, გავიფიქრე, რახან ისეთი დრო გვიდგას, უცხო სიტყვები ქართულ ტექსტებში, ალბათ, თანდათან მოიმატებს, რა იქნება, რომ განათლების სამინისტრომ, საჯარო სკოლებში შემოიღოს სპეციალური საგანი, რომელიც უცხო სიტყვებს მშობლიურ ენაზე „უთარგმნის“ მოზარდს და ისიც, მოგვიანებით, ჩვენსავით აღარ დაიბნევა დორეულისთანა ავტორების „გენიალური აზრების“ გაცნობისას (ულექსიკონოდ ეცოდინება, მაგალითად, რას ნიშნავს **„ემპირიულ-გრამატოლოგიური დაფუძნება“** და ასე შემდეგ). ეს იქნება, სხვათა შორის, დამამტკიცებელიც ზოგიერთი „ურაპატრიოტისთვის“, რომ ყველაფერი, დიახაც არ გამოითქმის ჩვენი მშობლიური ქართულით და, ზოგჯერ, ლექსიკონში ჩახედვაცაა საჭირო... ხახ!.. კი გვაქვს საქმე საირონიოდ!..

დაბოლოს, რატომღაც მგონია, რომ არც ბატონი ტარიელ ჭანტურია დარჩება დიდად ნასიამოვნები თავისი, მართლაც არაჩვეულებრივი შემოქმედების, ასეთი, „ინტელექტუალურ-მდორეული“ აპოლოგიით.

ორი მაღლაკელი

ჩვენ ერთ წელს — 1943-ში, ერთ თვეს — ნოემბერში და ერთ რიცხვში — 9-ში, მოვევლინეთ ქვეყანას წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში. ის ზედამაღლაკელია, მე — ქვემორე ვარ... ერთ მერხზე ვიჯექით მაღლაკის საშუალო სკოლაში...

ეჰ, მაღლაკელი თუ არის, ის არის, თორემ, მე რა — წამოვედი თბილისისკენ 1960 წელს ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი, ჩავაბარე უნივერსიტეტში და, იქედან მოყოლებული, აგერ, 53 წელიწადია, თბილისსა და მაღლაკს შუა ვარ „გამოკიდებული“... **მურთაზ კანკაძე** კი, მთელი ცხოვრება იქაა, თავის მამა-პაპეულზე „მიბმული“, თავის მამა-პაპეულ კარმიდამოს ეფერება, უვლის, და არც საქვეყნო საქმე ეშლება...

მე და მურთაზი პროფესიითაც „დავემგვანეთ“ ერთმანეთს — ქართულმა სიტყვამ, კერძოდ, ჟურნალისტიკამ გაგვიტაცა, რაშიც საკმაო დამსახურება აქვს ცხონებულ დავით გაბრიაძეს — გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორს, რომელიც, შეიძლება ითქვას, გვანებივრებდა მე და მურთაზს ჩანახატებისა და ლექსების ბეჭდვით...

მას შემდეგ ქვეყნის დრო გავიდა, „ჩემი მურთაზიე“ უკვე, კარგა ხანია, თვითონაა გაზეთ „წყალტუბოს“ რედაქტორი, რაც შეუძლია, საინტერესო გაზეთს აკეთებს და, არც პოეზიას ივიწყებს, შარშან წიგნიც კი გამოსცა — კარგი ლექსებით სავსე...

ჰოდა, ცხოვრობს ასე — „მიბმული“ თავის მამა-პაპეულს 70 წლის მურთაზ კანკაძე, ქართულ სიტყვასაც ეჭიდება, რაც შეუძლია, ხოლო, თუ ვხვდებით (ძალიან იშვიათად) უამრავი გვაქვს მოსაგონარი უკვე თავდაღმართში წასულ ორ მაღლაკელს. აბა, მაგრად იყავ, მურთაზ! „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ!“ დაბადების 70 წლისთავს გილოცავ!

ვილენ მარდალეიშვილი

მონატრება

ჩვენი ბონდო



ჩვენი ქვეყნის სულიერმა მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ჩვენს უახლოეს მეგობარსა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთ საამაყო წარმომადგენელს **ბონდო დადვაძეს** „ქართული სულიერების ნამდვილი მემატიანე“ უწოდა.

შემთხვევითი არ არის ეს დიდი შეფასება.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გარდა, ბონდო დადვაძე წარმატებით მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, „საქინფორმში“ იყო „რია ნოვოსტის“ ფოტოქრონიკის მთავარი რედაქტორი, აგრეთვე ახალი ამბების სააგენტოს ფოტოკორესპონდენტი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი მოღვაწეობა იმ პერიოდში, როცა რუდუნებით აგროვებდა მასალებს თავისი კაპიტალური ნაშრომისთვის —„ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტები ავტოგრაფებით“. ეს წიგნი ხელოვნების მოყვარულებისთვის კიდევ უფრო საყურადღებო გახადა ამავე სახელწოდებით გამოფენამ, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა და ქვეყნის ბეჭდვური და ელექტრონული მედიის ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

ჩვენი ბონდო ის დიდი ფოტოხელოვანი გახლდათ, რომელმაც საქართველო, მისი ისტორია, მეცნიერება და ხელოვნება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოური სივრცის, არამედ მთელი მსოფლიოს დაინტერესებულ საზოგადოებას გაცნო.

ხედვის მისეულმა, მკვეთრად გამორჩეული ხელწერით შესრულებულმა მისმა ფოტოებმა შექმნეს დიდი გალერეა, რომელსაც ამშვენებს ჭაბუა ამირეჯიბის, კონსტანტინე გამსახურდიას, შოთა ნიშნიანიძის, მურმან ლებანიძის, სესილია თაყაიშვილის, სერგო ზაქარიაძის, იპოლიტე ხვიჩიას, რევაზ ლაღიძის, მერაბ კოსტავას და ჩვენი მრავალი სხვა საამაყო თანამემამულის სახეები.

მხოლოდ რამდენიმე თვე აკლდა ოთხმოცის შესრულებამდე და დიდი მოლოდინი ჰქონდა, რადგან იუბილის აღსანიშნავად მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ახალი კაპიტალური ნაშრომი უნდა გამოსულიყო. სამწუხაროდ ამ სიხარულის განცდა არ დასცალდა და მოგვიწევს ჩვენი მეგობრის, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენოსანი ბონდო დადვაძის ახალი წიგნის გამოსვლა უმისოდ ვიზეიმოთ.

დაე, მარადიულ ნათელში ამყოფე, მამაზეციერო, ჩვენი ბონდო, რომლის სულმა დღეს საბოლოოდ დატოვა ამიერი და იმიერ საქართველოს მართალთა შორის დაიდვა ბინა.

გურამ გოგიაშვილი; ნიკოლოზ ცაგარეიშვილი; სერგო ორჯონიკიძე; თენგიზ ზაალიშვილი; ომარ ჩიტაია; მიშა მცურავიშვილი; თენგიზ არჩვაძე; ვაჟა აზარაშვილი; თემურ გუგუშვილი; ნუგზარ კიკნაძე; იური არაბიძე; რეზო ნებიერიძე; ტრისტან კიკნაველიძე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის 1958 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკურსელის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

ანდრო ნადარეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინფორმაცია

რუსულ ბაზარზე ქართულ ციტრუსს თურქულთან, მაროკოულთან და ესპანურთან მოუწევს „ბრძოლა“

„როსსელხოზნადზორის“ სპეციალისტები ქართული ციტრუსის გადამუშავების პროცესს მონიტორინგს გაუწევენ და ადგილზე დააკვირდებიან. რუსი სპეციალისტები საქართველოში გუშინ ჩამოვიდნენ და 10 დეკემბრამდე დარჩებიან.

როგორც რუსული უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, შესაბამის შეთანხმებას „როსსელხოზნადზორისა“ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ოქტომბერში, მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე მიაღწიეს. მანამდე კი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ქართულ ციტრუსს რუსულ ბაზარზე 14 ოქტომბერს დაუშვებდნენ.

რუსული მედიის ცნობით, საქართველოს ექსპორტზე 70 ათასი ტონა მანდარინის გატანა სურს, თუმცა, კონკურენცია ისეთ სერიოზულ მომწოდებლებთან მოუწევს, როგორიც თურქეთი, მაროკო და ესპანეთია.

გარემოვაჭრეების აქცია გურჯაანში

ორშაბათს 20-მდე გარემოვაჭრე გურჯაანის გამგეობის შენობის წინ შეიკრიბა და გარევაჭრობის აკრძალვის შესახებ რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება გააპროტესტა. ისინი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ ემზარ ჯიქურაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ.

გარემოვაჭრეები აცხადებდნენ, რომ ბაზარში მათთვის საკმარისი ადგილები არ არის. ისინი რაიონის ხელმძღვანელობას სთხოვენ, ახალ წლამდე ქუჩაში ვაჭრობაზე ნება დართონ. გამგეობის შენობის წინ დაწყებულმა აქციამ გურჯაანის აგრარულ ბაზარში გადაინაცვლა, სადაც მათ გამგებლის მოადგილე და საკრებულოს თავმჯდომარე შეხვდნენ. შეხვედრას სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

გამგებლის მოადგილე ზურაბ დანელიშვილი მათ აიმედებდა, რომ გარევაჭრობა ახალ წლამდე არ აიკრძალებოდა, თუმცა პარალელურად საპირისპირო განცხადება კეთდებოდა გურჯაანის საკრებულოში. საკრებულოში ამბობენ, რომ გარევაჭრობა უნდა აიკრძალოს, რადგან კანონს ეწინააღმდეგება. თუმცა ზუსტად ხვალ გახდება ცნობილი რა გადაწყვეტილებას მიიღებს თვითმმართველობა.

კვერცხის იმპორტის შეჩერებაზე არავითარი ბრძანება არ გასცემულა

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაშია ნათქვამი, ბოლო დროს პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს კვერცხის იმპორტის შეჩერება დაკავშირებულია მთავრობის გადაწყვეტილებითა და ბიზნესში მისი შესაძლო ჩარევით. სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ კვერცხის იმპორტის შეჩერებაზე არავითარი ბრძანება და განკარგულება არ გაცემულა.

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო ბაზარზე და შესაბამისად, კვერცხის ძირითადმომწოდებელ ქვეყნებში — თურქეთში, უკრაინასა და მოლდოვაში კვერცხის ფასი გაიზარდა, საქართველოში მკვეთრად შემცირდა კვერცხის იმპორტი.

გარდა ამისა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო გახდა თითოეული კვერცხის მარკირება (მწარმოებელი ქვეყნისა და წარმოების თარიღის აღნიშვნით).

სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ნებისმიერ მეწარმეს შეუძლია, აწარმოოს კვერცხის იმპორტი.

◎ ჩვენი კარაბადინი

წამალს სიბერის წინააღმდეგ... ბიოინჟინრები შექმნიან

დაბერება არავის უნდა, ასე რომ „მაკროპულოსის საშუალებათა“ ძიება, რომელიც მარადიულ სიახალგაზრდავეს გვპირდებოდა, ძველებურად ყველას აინტერესებს.

თუმცა, ძიების ვექტორი შეიცვალა, დღეს მეცნიერები ეძებენ საშუალებებს არა სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, არამედ სიბერის შენელებისთვის.

ჩვენი ექსპერტია მოსკოვის ფიზიკო-ტექნიკური ინსტიტუტის ცოცხალ სისტემათა მოდელირების ლაბორატორიის გამგე პიოტრ ფედიჩევი.

რობოტი ვირუსების წინააღმდეგ

„შეიძმნას წამალი, რომელიც დაუპირისპირდება ასაკს — არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ საინჟინრო ამოცანაა“, — მიაჩნია პიოტრ ფედიჩევს. მისი ლაბორატორია ამუშავებს სპეციალურ პროგრამას იმ მოლეკულათა მოძიებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ ჩაერთონ, ჩაუშენდნენ ცილას ისე, რომ დაანგრიონ დაავადებასთან დაკავშირებული პროცესები და არ შეეხონ იმათ, რომლებიც საშუალებას იძლევიან დავრჩეთ ჯანსაღად. ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ შექმნილი რობოტი უკვე წარმატებით ართმევს თავს პირველ ამოცანას — შეარჩია იმ ნივთიერების ფორმულა, რომელსაც შეუძლია დაიცვას თაგვები გრიპის ვირუსის სასიკვდილო დოზისგან.

აღმოჩნდა, რომ გამოთვლითი სისტემები ადვილად ებრძვიან ვირუსებს, თუმცა, უძლურები არიან ერთ-ერთი ყველაზე საშინელი დაავადების — კიბოს წინაშე. პრობლემა ისაა, რომ კიბოს მრავალი სახეობა აქვს. და ამ ბოლო დროს მიდის საუბრები, რომ ყოველ კონკრეტულ პაციენტს უნდა დავუსვათ მისი კიბოს კონკრეტული ფორმის დიაგნოზი და სწორედ მას ვუმკურნალოთ. „მიუხედავად ათეული წლების მუშაობისა და ათასობით დაკარგული დოლარისა, წამალი კიბოს წინააღმდეგ კვლავ არ არსებობს, —ამბობს პიოტრ ფედიჩევი. — მაგრამ, იქნებ, თუ დავიწყებთ პრეპარატების დამუშავებას არა კიბოს, დიაბეტის ან ალცჰეიმერის დაავადებათა, ესე იგი დაბერებასთან დაკავშირებული გამოვლინებების წინააღმდეგ, არამედ დავიწყებთ იმ საშუალების ძიებას, რომელიც კურნავს თავად დაბერებას, უფრო იოლი იქნება წარმატების მიღწევა?“

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ალცჰეიმერის დაავადების წინააღმდეგ სამკურნალო საშუალებათა 10-ზე მეტი კლინიკური გამოკვლევა ჩაიშალა და ამ ჩაშლის ძირითადი მიზეზი იყო პრეპარატების არაეფექტიანობა ან ტოქსიკურობა. მართლაც, ესაა თანამედროვე საცდელი წამლების უმრავლესობის პრობლემა. მაგრამ თუ მათ არ შეუძლიათ, გაიარონ კლინიკური ცდები, ამ წამლების დამუშავებაში შეწყვეტენ ფულის დაბანდებას. ასე რომ, ესაა კიდევ ერთი მიზეზი მივუდგეთ პრობლემას მეორე მხრიდან, კერძოდ კი — შევეცადოთ ვებრძოლოთ დაბერებას და არა დაავადებებს.

რატომ ვბერდებით?

თანამედროვე მეცნიერება ამ შეკითხვაზე ასე უპასუხებს: ადამიანი ასაკთან ერთად სულ უფრო მეტად ზიანდება სხვადასხვა დაავადებით, რომლებსაც საბოლოოდ სამწუხარო შედეგამდე მივყავართ. ასაკობრივ დაავადებებს განეკუთვნებიან შაქრის დიაბეტი, კიბო, ალცჰეიმერის დაავადება, გულსისხლძარღვთა დაავადებანი, ტრავმები.

ამ სენებისგან გარდაცვალების ალბათობის გრაფიკი რომ შევადგინოთ, საინტერესო სურათს მივიღებთ. 30-35 წლამდე ეს ალბათობა საკმაოდ დაბალია, შემდეგ კი მრუდე ხაზი იწყებს ელვისებურ ზრდას, ერთი დაავადებისთვის ადრე, მეორისთვის უფრო გვიან, მაგრამ იზრდება ყველასთვის.

ესე იგი ასაკთან ერთად გარდაცვალების ალბათობა იზრდება. შეიძლებოდა მას დავპირისპირებოდით, ოცდაათი წლის ასაკში რომ შეგვძლებოდა შეგვეჩერებინა დაბერების პროცესი. „მაშინ ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა რამდენიმე ასეულ წელს“, — დარწმუნებულია ფედიჩევი.

ჯერ კიდევ XXI საუკუნის დასაწყისში მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ პლანეტაზე ძალიან ბევრმა ცხოველმა არ იცის დაბერების პრობლემები იმ სახით, როგორითაც ჩვენ ვიცით. მაგალითად, სომალიელმა თხუნელამ (ანუ შიშველმა მიწისმთხრელმა). თავისი მოცულობით ის თაგვს მოგვაგონებს, ოღონდ თაგვი 2,5 წელს ცოცხლობს, სომალიელი თხუნელა კი — 30 წელს.

და ეს ერთადერთი მაგალითი როდია, მეცნიერებმა იციან 15 ცხოველი, რომელთა სიკვდილის ალბათობა ასაკზე არაა დამოკიდებული. მაგალითად, კუ კვდება არა სიბერისგან, არამედ იმის გამო, რომ მისი ჯავშანი გაცილებით ნელა იზრდება, ვიდრე თავად იგი, გრენლანდიური ვეშაპი — სიბრმავის გამო, რომელიც ემართება თვალის ბროლის დაბინდვის დროს.

6 მილიონი ადმოჩენისთვის

თანამედროვე ბიოტექნოლოგიის ამოცანაა — ისწავლოს, თუ როგორ გადაიყვანოს ცხოველთა სხვადასხვა სახეობა შენელებული დაბერების რეჟიმში. შენელებული დაბერება კი — ესაა არა მხოლოდ ხანგრძლივი, არამედ ჯანსაღი სიცოცხლეც. რატომ აქვს ხანგრძლივი სიცოცხლე იგივე სომალიელ თხუნელას? იმიტომ, რომ ეს არის ცხოველი, რომელსაც შეუძლია გადაიტანოს თავისუფალი რადიკალების, მძიმე ლითონების, რადიაციის უზარმაზარი დოზები. მაშასადამე, თუ ვასწავლით ჩვენი ორგანიზმის ქსოვილებს, გადაიტანონ სტრესის მაღალი დონეები, მაშინ დაბერების სიჩქარე, შეიძლება, შენელდეს, სიცოცხლის ხანგრძლივობა კი გაიზარდოს.

ახლა უკვე მეცნიერებმა შეძლეს, გაუხანგრძლივონ სიცოცხლე საფუარებს, ჭიებსა და თაგვებს, ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზმების გაახალგაზრდავებაც კი მოხდა. სიცოცხლის გახანგრძლივების მეთოდები ერთნაირად მუშაობენ საფუარებშიც, ძუძუმწოვრებშიც, და სავსებით საალბათოა, რომ, როდესაც ასწავლიან საფუარებს იცოცხლოს დიდხანს, მეცნიერები შეძლებენ გამოიყენონ ეს დამუშავებანი ადამიანებშიც.

დღეს მთელი მსოფლიოს მეცნიერები ეძებენ გენეტიკურ ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია დაბერებასთან, და ამუშავებენ თერაპიას, რომელსაც შეეძლებოდა მნიშვნელოვნად (20-30 პროცენტით) გაეზარდა ცხოველის სიცოცხლის ხანგრძლივობა. პრემიაც კი არსებობს—6 მილიონ დოლარზე მეტი მისთვის, ვინც მიღებულ შედეგებს გადააჭარბებს.

„თუ ფარმაკოლოგიური კომპანიები მოახდენენ კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ორიენტაციის შეცვლას ასაკთან დამოკიდებული დაავადებების პროფილაქტიკით, ეჭვი არაა, შეიძლება მივაღწიოთ წარმატებებს რამდენიმე მიმართულებით“,— ამბობს პიოტრ ფედიჩევი.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საკითხი შეეხება არა უბრალოდ აბს სიბერის წინააღმდეგ, არამედ ადამიანის ორგანიზმის სტრესმდგრადობის გადიდებასა და შესაძლებლობათა გაფართოებას — იცოცხლოს უფრო მძიმე ეკოლოგიურ პირობებში.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ბოგოყვათში, ორი კვირის წინ...

საკაკაშვილს 200-კაციანი სია გადასცეს, ვისთვისაც საქართველოს მოქალაქეობა უნდა მიენიჭებინა!

ესენი საერთაშორისო ისლამისტურ-ექსტრემისტული ორგანიზაციის წევრები არიან. ამ უცხოელებს შორის არიან საეჭვო წარმომავლობისა და წარსულის მქონე ადამიანები, რომლებიც საკუთარ ქვეყანაში კრიმინალური დანაშაულისთვის იძებნებიან... ეს დედანატირება კი წავიდა, მაგრამ მისი „ნაცმოძრაობის“ მიერ დათესილი სარეველა, არაერთხელ გაგვებლანდება ფეხებში, არაერთხელ წაგვატეხინებს კისერს...

„ძრონიკა“

„ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ“

— გაცხარებულია ინგა გრიგოლია. იგი მიხეილ სააკაშვილის მიერ მის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოებას ეხმაურება: „დილით ჟურნალისტმა დამირეკა, რა კომენტარს გააკეთებ, პრეზიდენტის ორდენზეო. მეგონა, ხუმრობდა. მერე ვნახე ინფორმაცია. ცნობისთვის: ჩემთვის არავის დაურეკავს და არც არანაირი ორდენი არ გადმოუციათ. რატომ მოვხვდი დაჯილდოებულთა სიაში, ამ კითხვას მიშას თავად დავუსვამ, თუ როგორმე მოვახერხე მასთან ინტერვიუ. მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ. არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველა ქვეყანაში“, — აცხადებს ინგა გრიგოლია.

„ახალი თაობა“.

„არ არის არც ერთი ვარდი, თუმცა, არის ეკლები და ცრემლები“

საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ჰოლანდიიდან 20 წლის წინ მიხეილ სააკაშვილისთვის ცოლობაზე თანხმობის მიცემისა და მასთან გატარებულ 20 წელზე წერს.

„ოცი წლის წინ, 17 ნოემბერს მე მიშას ვუთხარი: „დიახ, მე თანახმა ვარ“: ეს იყო ჩვეულებრივი დღე, ჩვეულებრივ სამოსში გამოწყობილს ხელში ერთი ვარდი მეჭირა, მეორე, სადაც კი წავედი, მის გვერდით ყველგან ვარდები მივიღე... დღეს, 2013 წლის 17 ნოემბერს, ჩვენი ქორწინების მეოცე წლისთავზე, არ არის არც ერთი ვარდი, თუმცა, არის ეკლები და ცრემლები. ჩემი პატარა შვილი მიყურებს და მეკითხება: „მალე თუ დავბრუნდებით სახლში“. და კვლავაც იმედითა და ნდობით აღსავსე ნიკუშას ვპასუხობ: „დიახ, ჩვენ დავბრუნდებით“, — სანდრა, ჰოლანდია“, — წერს ყოფილი პირველი ლედი.

„რეზონანსი“

რეკლამა 299-62-77; 599 32-85-76. „საქართველოს რესპუბლიკაში“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მარტოხელა მამაკაცებს არ ესმით, რა ბედნიერებაა ცოლიანობა.

— არც ცოლიანებს ესმით.

* * *

— გუშინ რას აკეთებდით?

— მაგრად დავთვერით.

— გუშინ რა იყო?

— ფული.

* * *

— ეი, ბიჭო, მოდი აქ! — ეძახის ჩაბნელებულ ქუჩაში ტიპი გამვლელს. — სწრაფად მოიძვრე ბეჭედი!

— კი, ბატონო, აიღე!

— ეს რა არის, რას მაძლევ?

— ხელყუმბარას...

* * *

ჩავიდა ორი თეთრკანიანი და შავკანიანი ამერიკელი რუსეთში.

— მოდი, როგორც ნაღდი რუსები, ისე გამოვტყვრეთ არყით მშენებლობაზე! — ეუბნება თეთრკანიანი:

— კარგი!

ბევრი დალიეს. ზანგი გაითიშა. თეთრკანიანმა იგი მხარზე გაიდო და გასასვლელისკენ წავიდა.

— სდექ, არ გაბედი გასვლა! — უყვირის დარაჯი.

— ჰელოუ! — ეუბნება პასუხად ამერიკელი.

— შენი ჰელოუ-მელოუ არ ვიცი მე! მაგ ტოლის შეკვრა დატოვე, თორემ თავს გაგიხეთქავ, ქურდბაცაცავ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერეულაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24